38-40
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ V

მაისი, 1907

ფელიფადი მეთვრამეტე

ტფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65
1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარო, გულით
წმიდით ვეგებებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოდერი ყვავი.

ერთხელ ყვავს უნდოდა წიწილის მოტაცება, მაგრამ გამოუდგნენ და დავლა გააგდებინეს. ყვავი გაფრინდა. ჰატარა ხანს შემდეგ უკანვე დაბრუნდა და თან მოიყვანა რამდენიმე სხვა ყვავი და ამ ყვავებმა მთლათ ყველა გამოჩეკილი წიწილები წაასხეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა ამბები.

II

ზღარბი



ვეუანას ებად აულივარ. ვერ გა-
მიგია, რა ამბავია ჩემს თავსა!
მე რა ვარ? ერთი უბრალო,
უწყინარი სულიერი. არა ვისი
სიკეთე არა მშურს და შევეძლები
ჩემთვის ლოკოკინებსა და ბაწია
ჭია-ღუებსა, სწორედ იმას, რაც
აფუჭებს ბალებსა. ამათი გაწყვეტა
ხომ სიკეთეა ბალებისათვის!

ეგებ თვალ-ტანადობა კარგი არ მქონდეს, რა კი ბურძგითა ვარ შემოსილი? ზღარბი ვარ აბურძგული და რა-კი სხვა ღონე არა მაქვს თავის დაცვისა, რო-ცა მტერი მომისტება, მეც გული საგულესა მაქვს, რომ ასეთი ჩხვლეტია წამოსასხამი მაქვს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღელი მოჭკურცხლავს, როცა გამოიგდებენ, ძაღლი იკბინება და კატა იკაწრება, მე რაღა უნდა ვქმნა? მე ბურთის გვარად ავიბურძგები ისე, რომ მტერმა ვერ შეიტეოს, თუ სადა მაქვს ფეხები, თავი, ან კუდი! თუ ეცადა როგორმე ჩემ დაჭერას, მე უფრო და უფრო გავეხვევი და თუ არ ჩამაგდო ცივ წყალში, რომელიც მეჯავრება, შიში არავისი მაქვს.

ჩემი თავშესაფარი ჩვეულებრივად სავსია სადმე დაბერებულის ხის რტოში და იქვე მძინავს მრთელ დღესა. საღამოს, როცა ჩამობნელდება, გამოვდივარ იმავ დროს, როცა ბუ და ღამურა გამოვა ხოლმე, და დავდივარ სანადიროდ, ვახშმად რამე დავიმზადო.

ზამთარში, ისე დიდხანს მძინავს, რომ ვერც კი შევიტეობ ხოლმე სიცივეს, ეინვასა და თოვლსა. ძილის სულის ჭირიმე! არხეინად ვგრძნობ თავსა, როცა რამდენსამე თვეს მოსვენებითა ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ თუ ამის შემდეგ კიდევ უნდა იყვეს ვინმე, ავად მომექცეს?

მებაღეები გაიძახიან, ჩვენს ხილს შჯამსო, მწყემსები, ჩვენს რძეს ჭსვამსო, მაღლი რაა, მაღლიც კი ჩემი მტერია! ჩემი საჭმელი კი სწორედ ის ცხოველია, რაც მათი მავნებელია!

***

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაღია მემუსიკენი.

(რუსულით)

ერთხელ ცირკის სანახავად
წაიყვანეს პატარები.
ნახეს როგორც თამაშობდნენ
იქ მორთული მასხარები.

ერთს ჩონგური ეპყრა ხელში,
მეორეს კი—ჭიანური,
და მესამეს წმინდა ლერწმის
გამოჭრილი სალამური.

ნახეს და სთქვეს: დავემგზავსოთ
მოდით ცირკის მასხარებსა,
განა ჩვენ კი ვერ ვიშოვით
იმათთანა საკრავებსა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ეცა ეავრის ნატეხს
და გახლიჩა მეისვე შუა,
მეორემ კი ზედ გააბა
ორივეზე ცხენის ძუა.

მესამე კი დარჩა ისე
განსაცდელს და გასაჭირში,
მაგრამ უცბად მოაგონდა
და თითები იკრა ჰირში.

გაუსვეს და გამოუსვეს
ჩონგურსა და ჭიანურსა,
ვანო უსტვენს თითებითა
ისე როგორც სალამურსა.

რით არ გვანან იმ ოინებს,
განა ვინმე დასდებს წუნებს?
ერთი კარგათ დააკვერდით
ამ ჰაწია მაიმუნებს?..

შ. მღვიმელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ვქნა, ვერ მივხვდი!

ათავდა გაკვეთილი. უმაწვილები სასწავლებ-ლიდან გამოვიდენ. ბევრი მათგანი ვერ მი-მხვდარიყო მასწავლებლის ნათქვამს და და-ფიქრებულნი იყვნენ; ბოლოს ერთმა მათგანმა, ვანომ, წამოიძახა:

— რა ვქნა, ვერ მივხვდი! როგორ შეიძლება, რომ დედამიწა ბრუნავდეს—მასწავლებელმა რომ თქვა —მე ვერ ვგრძნობ, როცა დავდივარ, რომ მიწა ინძ-რევა ჩემ ფეხ ქვეშ.

ერთმა საუკეთესო მოსწავლემ, ვიქტორმა, რო-მელსაც ხელში დიდი ბურთი ეჭირა უთხრა:

— მოიცა, მე აგიხსნი მაგას.

ვიქტორს უმაწვილები გარშემოეხვივენ.

ამან ფრთხილად აიყვანა ხელში ერთი ჭიანჭველა და დასვა ბურთზე. მერე ორი თითით ჰაერში ასწია ბურთი ყველას დასანახავათ. ჭიანჭველამ დაიწყო ამ დიდ ბურთზე მისვლა-მოსვლა. ვიქტორმა წუნარად ბურთი მიატრიალ-მოატრიალა, მაგრამ ჭიანჭველა ისევ ისე დამშვიდებით განაგრძობდა მისვლა-მოსვ-ლას და ეტეობოდა არ ატეობდა, რომ ბურთი ტრი-ალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემაწვილებმა სიხარულით კიჟინა დასცეს.

— სედავთ, უთხრა ვიქტორმა, ჩვენი დედა-მიწა ამ ბურთივით რგვალია და ეს ჭიანჭველა ვითომ ვანოა. დადის ამ დედამიწაზე როგორც ეს ჭიანჭველა და ვერ გრძნობს ტრიალებს თუ დგას ეს დედა-მიწა.

ვანო აღტაცებით შესცქეროდა ვიქტორს და ბოლოს თქვა:

— იცი რა გითხრა, მოდი ბურთზე ბევრი ჭიანჭველები დავსვათ, მაშინ უფრო ნათლად დავინახავთ ყველაფერს.

ემაწვილებმა საჩქაროთ მოარბენინეს რამოდენიმე ჭიანჭველა და დასვეს ბურთზე. ამათ დაიწყეს აქეთ-იქით სირბილი. როდესაც ერთი მაღლა იყო, მეორე სწორეთ ქვეშ მოექცა. ერთი რომ ერთ მხარეზე იმეოფებოდა, მეორეს სულ სხვა მხარეზე ნახავდით.

— დახეთ ამათ, როგორ სულ სხვა და სხვა მხარეზე დადიან, თქვა სიცილით ვიქტორმა. ესენი რომ გრძნობდენ, მე რომ ბურთს ვატრიალებ—ასე დამშვიდებით არ განაგრძობენ გზას. ადამიანების საქმეც სწორეთ ასეა, ერთი რომ დედა-მიწის ერთ გვერდზე ცხოვრობს, მეორე მოთავსდება სოლმე სულ სხვა გვერდზე. ზოგი ევროპაში იკიდებს ბინას, ზოგი აზიაში და სხვა.

ემაწვილები ვიქტორის გარშემო სიცილით და კიჟინით ტრიალებდენ და აღარ უკვირდათ რომ დედა მიწის ტრიალს ვერ გრძნობენ.

(ფრანგულიდან)

ტასო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთვარის მოგზაურობა.

სურათი მეშვიდე.

ანდერსენისა



ბა, ეური დამიგდეთ, რა მიამბო მთვარემ!

ტეის მახლობლათ, გზის ნაპირათ, განმარტოებით იდგა ორი ჰატარა ქოხი, რომლებსაც კარ-ფანჯრები მეტად მდაბლათ ჰქონდათ კედლებში ჩატანებული. ქოხების სახურავი ერთიანად დახავსებულიეო და გაუვითლებულის ფოთლებითა ⁄ უვავილებით იეო დაფარული. ეზოს ათასგვარი მცენარეულობა და ფერად-ფერადი უვავილები აშშვენებდნენ. ქოხების გვერდით გაშენებულს ბოსტანში ხარობდა მხოლოდ კარტოფილი, მხალი ⁄ კომბოსტო. ეზოს გარს ერტყა მაღალი ღობე, რომლის მახლობლათ იასამანის ხის ქვეშ იჯდა ჰატარა გოგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაწიას თავისი ცუგრუმელა, მისაკის ფერადი-ფეთ-
ლები მოუშორებლივ შეეჩერებია მაღალის მუხისათ-



ვის, რომლის დიდრონი ტოტები ამ ორქოხს ერთი
მეორისაგან აშორისშორებდა.

ძველი მუხის კენწეროზედ ყარეატს ბუდე გაეკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებინა, შიგ ჩამჯდარიყო და მუხის ტოტებს ხან ავ-
და ხან იქ უნისკარტებდა. ჰატარა გოგონასთან მი-
ვიდა მისი ცოტათი უმფროსი ძმა და გვერდით და-
უდგა.

— საით იცქირები ასე გულმოდგინეთ? ჰკითხა
ძმამ.

— მე უცქერი მუხაზედ დაბუდებულს ყარეატს,
უპასუხა ჰატარა გოგონამ. მეზობლიანთ ფეფომ მი-
თხრა, განაგრძო გოგონამ, რომ დღეს ყარეატი მო-
გვიყვანს ან ჰატარა ძმას, ან ჰატარა დასო და ამი-
ტომ თვალ-ყურს ვადევნებ, როცა ბუდიდან ჩამოფ-
რინდება!

— ყარეატი ჩვენ არაფერსაც არ მოგვიყვანს, უპა-
სუხა ძმამ. შენ ტეუილად გჯერა ჩემო დაიავ, მეზო-
ბლიანთ ფეფოს სიტყვები. მეზობლიანთ ფეფომ მეც
მითხრა, დღეს ყარეატი მოფრინდება და ძმას ან დას
მოგიყვანსო, მაგრამ მე ეგ როდი მჯერა. ფეფო ამ
სიტყვებს ღიმილით მეუბნებოდა და კიდევაც მე ამის
გამო ეჭვი შემეპარა. იცი რა გითხრა, ჩემო დაიავ,
ყარეატის შესახებ ამბავი სულ მოჭორილია. ჩვენის-
თანა ჰატარეებს მუდამ ასე ატეუილებენ!

— მაშ საიდან ან ვის მოჰყავს ჰატარა ბავშვები?
გულუბრეკილოთ შეეკითხა ჰატარა გოგონა თავის
ძმას.

— საიდან და ჩვენ საეკარელ ღმერთს მოჰყავს!
ხოლო, რადგან ღმერთის ხილვა არავის არ შეუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, ამიტომაც ვერა ვხედავთ, როცა ჰაწია ბავშვები მოჭუავს მას.

ამ დროს უეცრივ იასამანის ხის ტოტებზედ ფოთლები რალამაც მძლავრად შეარხია. ბავშვებმა ხელები ფშვნეტით ერთი მეორეს გაკვირვებით გადაჭხედეს, უთუოდ ეს ჩვენი საუვარელი ღმერთია, რომელმაც ჰაწია მოგვვარაო, გაიფიქრეს ორთავემ და ერთი მეორეს სიხარულით ხელები ჩაჭკიდეს.

ამ დროს ქოხის კარები გაიღო და სახლიდან მეზობლიანთ ფეფო გამოვიდა.

— აბა, ახლა სახლში შემოდით! მხიარულის ჰირის სასით შეეხმაურა მეზობლიანთ ფეფო ბავშვებს:

„შეხედეთ, რა მოგვიუვანა უარუატმა!... აკი გითხარით უარუატი ჰატარა ძმას მოგვიუვანსო!“

ბავშვები თავის ქნევით ჩასცქეროდენ ახლად დაბადებულს და ახლა-კი სრულიად დარწმუნებულნი იუვნენ, რომ მეზობლიანთ ფეფოს სიტუვები მართლად ასრულდა და უარუატმა ჰატარა ძმა მოუუვანა მათ.

ა. ყუმისთაველი.

(გერმანულით)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედაბერი და ხბო.

ხალხური ზღაპარი.

ეო და არა იეო რა, იეო ერთი დედაბერი. ჰყავდა ერთი ძროხა და ერთი ხბო. ერთსელ ძროხა რომ მოწველა, ხბო გარეთ გამოუშვა და თვითონაც გამოჰყვა. იმ დროს ჯორიანმა კაცმა ჩამოიარა, ხბოს თვალი უქცია და წაიყვანა, მაგრამ სელით კი არა, ჯორს გააყოლა, ვითომც შვილი ეოფილიეოს. დედა ბერი გამოუდგა, ხბო რად მიგყავს ჩემიო, კაცმა უთხრა: რას ლაპარაკობ, შენი რად იქნება, ჯორის ნაშობია. თუ აგრე არაა-წადი და მიჩივლეო. საწყალი დედაბერი ადგა და სოფლის მამასახლისს შესჩივლა.

სოფლის მამასახლისი თურმე ბრმა იეო. ის იეო ჯორის პატრონიც მოვიდა. ხბო ფეხებში უხლტოდა ჯორსა და მუმუს ულოკავდა. მეჯორემ ბრმას უთხრა: ჩემი საქმისა რა გაარიგეო.—დამაცა, აგერ ერთი შემომტირის, თევზებმა ოთხი ქცევა ეანა შემიჭამესო. კაცმა უთხრა: თევზებისაგან ეანის ჭამა სად გაგონილაო? —ან ის სადღა გაგონილა, რომ ჯორი ხბოს შობავდესო, მიუგო მამასახლისმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრაზანები.

ამბავი.

ექვს მარიამობისთვეს, ფერისცვალობა დღეს, რეზო და თამრო კარის ბახჩაში დედასთან ერთად ჩაის შეექცეოდნენ. მეზობელმა ნინომ ერთი თეფში ახლად ამოღებული უცვცხლო თაფლი მოართვა და ბავშვები დიდათ გაახარა.

— რა კარგია, რა მშვენიერად არის გაკეთებული ეს თაფლის ფიჭა, რომელზედაც ოქროსფერი ჟინჟილებივით გადმოდის თაფლი! შეჭვევირა თამრომ.

— რა კარგები არიან ფუტკრები, რომელნიც ამ თაფლს აკეთებენ,—აღტაცებით დაუმატა რეზომ ⅓ თაფლით სავსე კოვზი ჩაიდო პირში.

„ბზუ—ბზუ—ბზუ!“ უცებ მოფრინდა ორი კრაზანა და ბავშვებზე არა ნაკლების აღტაცებით დაეწაფნენ სურნელოვან თაფლის ნაჭერს. წამზედ ისევ გაფრინდნენ, მაგრამ იმათ მაგივრად მალე ათი სხვა მოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რინდა, როდესაც ისინიც გამოძღნენ, გაფრინდნენ და შემდეგ უფრო ბევრნი მოფრინდნენ.

— ქშიიი, ქშიიი! თქვე ოხრებო!

ხელთსახოცი აუქნია თამრომ, მაგრამ იმათ შეუ-ჰოვრად ისევ იწუეს თაფლის წუწვნა.

— მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! განრისხდა რეზო და უნდოდა მათი გამკლავება ჯოხით, მაგრამ დედამ გააფრთხილა:

— ნუ, ნუ ერჩი, შვილო, თორემ კრაზანამ ჯავრის ამოურა იცის, დაგაფრინდება, გიკბენს შენც და ჩვენც კეთილს არ დაგვაურის.

— მაშ ჩვენი თაფლი სულ მაგათ უნდა შეჭულა-ჰონ? ხომ სედავ, თანდათან უფრო და უფრო ბევრნი მოფრინდებიან. ეგენიც ხომ ფუტკრები არიან, წავი-დნენ და თავიანთი თაფლი მიირთვან.

— ნეტა თუ მაგათ ენა აქვთ, ლაპარაკი იციან რომ ერთმანეთს ეპატიჟებიან? ცნობის მოუვარეობით იკითხა თამრომ.

— ენისა კი აბა რა ვიცი, მაგრამ როგორც სჩანს ცნობით-კი აცნობებენ თავიანთ ამხანაგებს რომ აქ მაგათი საუვარელი თაფლი არის, უთხრა დედამ და თაფლის თეფში აიღო ხელში ოთახში შესატანათ.

— წამოდით სახლში, დეე, გაფრინდნენ ეგ წუ-წკები და მერე ისევ გამოდით კარში სათამაშოთ.

— მაგათ კი არა აქვთ თავიანთი სახლი? ეგენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი სკებში არ აკეთებენ თაფლის ფიჭებს? კიდევ შეკითხა რეზო დედას.

— როგორ არა აქვთ სახლი, მაგრამ ფუტკრებივით კი სკებში არ აკეთებენ ფიჭებს. ეგენი მხოლოთ ფუტკრის ჯიშისანი არიან. თაფლი ძალიან უყვართ, მაგრამ გაკეთებისა კი არა იციან-რა. ბუდეებს კედლის ნახვრეტებში, ხის ფოსოებში, ხან მიწაში იკეთებენ და ფიჭის მაგვარ გაკეთებულ უჯრედებში მხოლოდ კვერცხებს სდებენ. წამოდით, წამოდით ოთახში, დაუძატა დედამ, ხომ ხედავთ აქაურობა აივსო კრაზანებით. უთუოთ აქ ახლო აქვთ სადმე ბუდე.

ერთი საათის შემდეგ ჰატარა რეზო ცნობის მოყვარეობით სავსე, დატრიალდა ბაღჩაში, ფიცრის ღობეზედ აცოცდა, ვარდის ბუჩქებს შემოურბინა, ჩიტუნიები დააფთხო, კალიებს ჯოხი დაუშინა და ის იეო თამროსთვის უნდა დაეძახნა, რომ ერთად გაეგრძოთ კრაზანების ბუდის ძებნა, რომ კიბის თავში მთელი კრაზანის გროვა დაინახა. ისინი ფიცრებსა და ფიცრებს შუა შედიოდ-გამოდიოდნენ და მოუსვენრად ბზუოდნენ. რეზო თვალის დახამხამებაზედ მოაჯირის ბოძზედ აცოცდა და თავისი ცნობის მოყვარე თვალები შეანათა იმ კუთხეში, სადაც კრაზანები შედიოდ-გამოდიოდნენ.

— ჭაა! აი სად ჭქონიათ ამათ ბუდე! აგერ ფიჭაც მოსჩანს, უთუოთ კვერცხებით ექნებათ სავსე. აბა ვნახოთ რა გვარია თქვენი ფიჭა, კვერცხები, ავეია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუზანკლებო! და ამ სიტყვებთან რეზომ ხელ-ში ფულუროში და კრაზანების მაღლა მიკრული ბუდე ჩა-მოაძრო.

— ვაიმე, ვაიმე! საშინლად შეჭვევირა რეზომ და ძირს ტაკვანი მოიღო.—მიშველეთ, მიშველეთ, კიოდა ის, მიშველეთ! და თან გიჟივით იქნევდა ხელ-ფეხს კრაზანების მოსაშორებლათ.

— რა ამბავია, რა მოხდა! გულ გახეთქილი გა-მოვარდა რეზოს დედა, თან მოჭეკა თამრო, მოსამსა-ხურენი, მთელი მეზობლობა.

რეზოს თავს დასტრიალებდა და ჭკბენდა კრაზანის მთელი გროვა. რის ვაი ვაგლახით მოაშორეს ბავშვს გაოფორებული ფრთოსანი მტერი და მთლათ დას�eb-ული და საშინლად მკივანი რეზო სახლში შეიტანეს.

— მელანი წაუსვით ნაკბენებზედ, ურჩევდა ერთი მეზობელი რეზოს დედას.

— მაწონი, ან რძე, ამბობდა მეორე მეზობელი.

— წყალში გათქვეფილი ლილა გადაასხით, ამ-ბობდა მესამე—ეს უებარი წამალია კრაზანის შხამისა-თვის.

რეზოს დედა გულ გახეთქილი ყველას რჩევას ას-რულებდა და ჩვენი ცელქი რეზო ერთი საათის შემ-დეგ მთლად ამოსვრილი ლილა—მაწონში და გუდა-სავით გაბერილი ძლივსღა ლუღლუღებდა:—„უჰ! რა ურჯულოები ეოფილან ეგ ოხრები! კინაღამ არ შემ-ჭამეს, აბეზრებმა! ოჰ, როგორ მეწვის კიდევ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ არ იცი, გენაცვალოს დედა, რო ეოველი სულდგმული თავის ბინას შეტრფის და იცავს? რად დაუნგრიე წვითა და დაგვითნაგები სახლ-კარი ბარტყებით და კვერცხებით სავსე ფიჭა?

„შარშან ჩვენი მეწისქვილე გიგუა რუს გვერდებს ამაგრებდა, უცაბედად კრაზანების ბუდეს მოახვედრა ბარი. წამზედ მილიონი კრაზანა გარს შემოეხვია და ორი დაუწყო. გიგუა გაიქცა, კრაზანები უკან გაჰყვნენ და თავპირი, ხელები სულ დაჭკბინეს. გასაშველებლათ ვერავინ ვერ მიეკარა შიშით და მანამ იმოდენა ვაჟკაცი რუში არ ჩაწვა ვერაფრით ველარ მოიშორა გაატრთებული მტერი. კრაზანა თავმოყვარე მწერია და თავის ბუდის აოხრებას არავის არ დაუთმობს, დაამთავრა დედამ.

— თავის დღეში, თავის დღეში აღარ მივეკარები იმათ ბუდეს გულ ამოკვნესით ამბობდა ბატარა რეზო და თან თავის დასიებულ ხირის სახეს სარკეში ათვალიერებდა.

ეკ. გაბაშვილისა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ ზრდიან ფრინველები

თავის ბარტყებს.

(თარგმანი)

ფრინვის გაკვეთილები

მერცხალი ძლიერ ნაზი მშობელია. ის ალერსით და სიყვარულით ზრდის თავის შვილებს. იმ ზომამდე უვლის, რომ თავსაც უხილავს, აშორებს ფრთებიდან ტალახს და თივას, რომელიც მიეკვრება მათ. დღეში რამოდენჯერმე სწმენდს ბუდეს. ძლიერ საყურადღებოა, როგორ მერცხალი თავის ბარტყებს ასწავლის ფრინვას.

დედა-მერცხალი აფრინდება, ბარტყი ადევნებს მას თვალს. დედა ხელ მეორედ აფრინდება. შვილი ნელ-ნელა იმეორებს მის მოძრაობას, უყურებს მას და თან ანძრევს ფრთებს. აი, ისიც აფრინდა, ოღონდ ჯერ ბუდეს არ სცილდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუდიდან გადმოფრენა ბარტეს ეძნელება. აი ახლა აქვთ ბევრი საქმე მშობლებს: ბარტეს ეშინია გადმოფრენა, მაგრამ სულ ხომ ბუდეში ვერ დარჩება, ამანაც უნდა ისწავლოს ფრენა. საჭიროა თვითონ იშრომოს, თორემ სიმშილით მოკვდება. დედა ასწავლის ჰატარა მშიშარას ბუდიდან გადმოფრენას ჯერ იქვე ბუდესთან, დედამ კარგად იცის რა ზომა უნდა იხმაროს, რომ ააფრინოს თავისი ბარტეი. ის დასტრიალებს ბუდეს და ალერსით უჭიკჭიკებს შვილს. ეს კიდევ ვერ ბედავს. დედა კი უძახის და უძახის, მას დაუჭერია მსუქანი, სხვილი კოღო და ნისკარტში უჭირავს. ამითი უნდა წაახალისოს თავისი ჰატარა—თუ გაბედავს და გადმოფრინდება ამ კოღოს მიიღებს ჯილდოთ. კოღო კი ძლიერ გეძრიელია. ბარტეს ჰირი ნერწყვით ევსება, თვალები აენთო. ვერ გაუძლო განსაცდელს. ძლიერ ძნელია ასეთი განსაცდელი, ბოლოს აფრინდა და ჰირდაჰირ დედას ეცა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოღო მომეცია. საცოდავი ძიგძიგობდა, მართლაც რა მაღლა აფრენილა. დედა მიეშველა შვილს და ახლო მდებარე სახლის თავზედ გადააფრინა. ერთი წამი კიდევ და კოღო ბარტყის ნისკარტში გაჩნდება.

ამით თავდება პირველი გაკვეთილი.

თქვენც ხომ აგრე გასწავლიდენ სიარულს. ჯერ ძაძა დაგაყენებდათ ფეხზე. აი სულ ახლო დედაც სდგას ხელებ გაშლილი და გეძახით თქვენ, გამხნევებთ, რომ პირველი ნაბიჯი გადასდგათ. თქვენც, როგორც იხ ბარტყი მშიშარა ხართ, ვერ ბედავთ ფეხის გადადგმას. გახსოვთ დედა თქვენმა რაღაც ტკბილეული გიჩვენათ. თქვენ ეოუმანობთ. ოჰ, რა საშინელი იყო პირველი ნაბიჯი. მაგრამ ის ტკბილეული ისეთი კარგია, სულ ახლოც არის. აი თვალებიც დახუჭეთ; გული გიკანკალებთ, ერთი, ორი—აბარბაცებული გადადგამთ ფეხს; დედა მორბის და გიჭერთ თქვენ.

გათავდა პირველი გაკვეთილი.

თქვენთვის ისე საშიში არ იყო პირველი გაკვეთილი, როგორც ძერცხლისათვის. თქვენ რომ წაქცეულიყავით, რბილ ბალიშზე დაეცემოდით, ბარტყი კი მაღლიდან რო გადმოვარდნილიყო ქვაფენილზე დავარდებოდა.

* * *

საშინელი საყურებელია, როგორ ასწავლის ფრინვას არწივი თავის ბარტყებს. აი, რას მოგვითხრობს ერთი მოგზაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი დილა იყო. ერთს მაღალ კლდიდან გადმოფრინდა არწივი, დაეშვა მიწისაკენ — ზურგზე ორი ბარტყი უჯდა. ჯერ შორს იყო მიწიდან, რომ შეანძრია ფრთები და გადმოიფერთხა ბარტყები. ეს უკანასკნელები უშიშრათ აფრინდენ და დაიწყეს მამის ახლო ფრინვა. როდესაც დაიღალნენ მამამ ისევ შეისვა ზურგზე. დაისვენეს და ახლა თვითონ გადმოფრინდენ ზურგიდან და თამამათ შეუდგენ ცის კამარას. როდესაც დაიღლებოდენ ისევ დასკუპდებოდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის ზურგზე. თითქმის ერთი საათი გასტანა გაკვეთილმა. ბოლოს ისევ მოთავსდენ მამის ზურგზე და გასწიეს სახლისაკენ. თითქმის დედამიწიდან ასი საჟენის სიმაღლეზე ხდებოდა ეს გაკვეთილები. მტვრათ იქცეოდა არწივის ბარტყი, რომ ვერ შესძლებოდა აფრენა. სანამდის ახალგაზრდა არწივი დაუსმარებლათ ვერ მოახერხებს ფრინვას, მანამდის მამა არ სტოვებს მას.

ა. ფ—სი.

(გაგრძელება იქნება)

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან)

ჩემი ბინა ტყეში არის,
მიყვარს ყველა ტკბილეული,
ზამთრობით ორმოში ვგდივარ
შიმშილისგან დალეული;
გაზაფხულზედ რომ გამოვალ,
დავდივარ გზა არეული;
ხან კაცს დაუმეგობრდები,
აღარ მქვიან გარეული.
მაშინ საჭმელს აღარ ვეძებ,
სახლშივე მყავს მზარეული.

ᲩᲥᲐᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ.

თუ კი მე ჩემი ჯამ-ჭურჭელ, ფილი-პინა, კოვზები
არ მე ჯამ-ჭურჭელ, ფილი-პინა, კოვზება,
შენ ჩემი ჯამ-ჭურჭელი, ფილი-პინა, კოვზები,
რაში გეჯამ-ჭურჭელ, ფილი-პინა, კოვზება?

ᲛᲝᲬᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.

ერთმა მგზავრმა ჰკითხა წყალ გალმა მდგომ მეცხვარეს:
,,რაოდენი, სადაური, სადამდისა?
ასერგ ასი, ათონელი, კოჭამდისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისგან)

პირველის ორი ასოთი
ძაღლს ავაყეფებთ ძაღლზედა,
დანარჩენს—ფასათ იღებენ
იქ, სადაც ქვა ძევს ქვაზედა,
მრთელი-კი საჭმელი არის
ადრე შემოდგომაზედა.

გასართობი.

ერთი მგზავრი თავ-მომწონეთ ლაპარაკობდა: მთელი ქვეყანა შემოვიარე, მრავალი იშვიათი და საკვირველი რამ ვნახე. მაგრამ ყველაფერზე უფრო გასაკვირველი ერთი ძირი კომბოსტო იყო. ამ დიდ და ვეებერთელა კომბოსტოს ისეთი უზარმაზარი ფოთლები ესხა, რომ თვითეულს ფოთლის ქვეშ მრთელი ჯარი თავისუფლათ დაბანაკდებოდა.

ამაზე ერთმა მსმენელთაგანმა დინჯათ უპასუხა: იცი, ჩემო მეგობარო, მეც მიმგზავრია, მრავალი ქვეყანა მინახავს და ისე არაფერს არ გაუკვირვებივარ, როგორც იაპონიაში ნანახმა ქვაბმა გამაკვირა. წარმოიდგინეთ, სამასი მჭედელი სჭედამდა ამ ქვაბს, ას ორმოცდა ათი კაცი თავისუფლათ იჯდა ქვაბში და ჰკალავდა.

— მერე რათ უნდათ ასეთი ვეებერთელა ქვაბი, რა უნდა მოხარშონ ისეთ უზარ მაზარ ქვაბში? შეეკითხა პირველი მგზავრი.

— უთუოთ ის ვეებერთელა კომბოსტო, რომლის ფოთლებ ქვეშ შენ მრთელი ჯარი ასე თავისუფლათ დააბანაკე! ღიმილით შენიშნა მეორე მგზავრმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღდგომა.

ია კაშკაშებს. სამეჯლისოდ
ემზადება ზღვა და ხმელი,
მთა ლ ბარი მხიარულობს,
უფრო ლაღობს მწვანე ველი.

—

დიდს, პატარას, კაცსა და ქალს
გადუჭვდიათ მხარზე ხელი.
ამბორობენ, იძახიან,
მოდის დაჩაგრულთა მხსნელი.

—

უსინათლო თვალებს იფშვნეტს,
კუტ-უძლური ფეხზე დგება,
ყველას უნდა მის დანახვა,
მისალმება, მიგებება.

—

აჰა იგი დიდებულიც,
იუდასგან წამებული,
ხალხთა შორისს დგას ის მძლავრად,
სამოყვასოთ უძგერს გული.

—

და ზარის ხმით იფანტება
ყველგან მისი სიტყვის ძალა;
ბორკილები მონობისა
იმსხვრევიან როგორც ჩალა.

—

აღდგომაა! მაცხოვრისა
ყველა ხარობს, მხიარულობს
მხოლოდ გული იუდასი
ბედს იწყევლის, თავსა კრულობს.

შ. მღვიმელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გუარავდეთ ღმერთი!

I

ემოდგომის უკანასკნელი თვე იდგა. ციოდა. ხეები გაშიშვლებულიყვენ და საცოდავათ გამოიყურებოდნენ. მინდორში ნაზათ ბობიბინე ბალახი. დიდი ხანია სიცივეს გაეყვითლებინა და კიდევაც ამომხმარიყო. აღარსად სჩანდენ ის ათასფეროვანი ყვავილები, რომელნიც აქამდის თავის სიმშვენიერით ამკობდენ მთა-კორაკებსა და მინდორ-ველებს. ცელქი და გიჟმაჟი მგალობელი ფრინველებიც გაფრენილიყვენ და მიტომ მათი საამური ჭიკჭიკი აღარ აცოცხლებდა არე-მარეს. ცა თითქმის მუდამ მოქუშული იყო. ხან-და-ხან თუ მოიწმენდა და მზეც ამოჰყოფდა თავს, მაგრამ მისი ცხოველ მყოფელი სხივები წინანდებურათ აღარ ათბობდა და ახალისებდა ადამიანის გულს. ყველა ადამიანიდან მოკიდებული უბრალო ცხოველებამდის მობუზული და ცხვირ ჩამოშვებული დაიარებოდა.

ბუნებას მოეწყინა და მიტომ არც მის შვილებს უცინოდა სახე და გული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მტირალა შემოდგომის თვის ბოლოს ერთ საღამოს, ტყის პირას მდებარე ერთ პატარა სოფელში, თავის ორ სართულიან სახლის აივანზედ, დასეირნობდა ნაბად მოსხმული თავადი სოლომონ ყორჩიბაშვილი.

ირგვლივ სამარისებული სიჩუმე იდგა. ჰაერი არ ირყეოდა, ყველაფერი სდუმდა, მხოლოდ ხანდისხან თუ გაიგონებდა კაცი შინ მონავალ ძროხების ბღავილს და ახლო რუზედ მდებარე წისქვილის რახრახს.. ასევე სდუმდა დღეს თავადი სოლომონი, მის სახეზე რაღაც სისასტიკე და ბოროტება იყო აღბეჭდილი. მისი ამოლურჯებული თვალები და ზედ გადაგრეხილი შავი შეჭმუხვნილი წარბები ისე გამოიყურებოდენ, თითქოს ყველაფერს მოსპობასა და ჩაყლაპვას უქადისო. გაიარ-გამოივლიდა, გადახედავდა სოფელს, ამოიოხრებდა და კბილების კრაჭუნით განაგრძნობდა სეირნობას.

ბოლთასა სცემდა, ოხრავდა, ბრაზობდა...

უცბად შედგა, მოიგდო გვერდზე ნაბადი, მიიდო ყურზე ხელი და ყურთა სმენათ გადაიქცა.

— კაკ—კუკ... კაკ—კუკ... მოისმა ტყიდან ხმა.

— „ეი, ბიჭო, სად ხარ გელა!“ ხმა მაღლა დაუძახა სოლომონმა მოსამსახურე ბიჭებს, რომლებიც სამზარეულო სახლში რაღაცაზე ფუსფუსებდენ.

— აქ გახლავარ, ბატონო!.. რას მიბრძანებ?..

უცბად გამოვარდა სამზარეულო სახლიდან და ქუდ მოხდილი გაჩერდა სოლომონის წინ ერთი მაღალი, წითელ-წითელი, ჩამსხვილებული და ულვაშებ ჩამოფუნსხული კაცი. ეს გახლდათ მისი მოურავი.

— „გესმის აი ის ხმა, ტყიდან რომ ისმის?..“ შეტევით ჰკითხა განრისხებულმა სოლომონმა მის წინ კრძალვით მდგომ გელას.

— კაკ—კუკ... კაკ—კუკ... მოისმა ტყიდან ხმა.

— მესმის, ბატონო, ვილაცა ხეს ჭრის... თავდაკვრით უპასუხა მოურავმა.

— „მაშ გასწი ახლავე, თან წაიყვანე ალექსაც, შეჰკარით ის თავხედი, ჩემ ტყეში ჩემ უნებურათ რომ შესვლა გაუბედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ წუთშივე აქ მომგვარეთ!.. გესმის... ახლავე გასწი“!..,

— გიახლებით, შენი ჭირიმე...

— „მე უჩვენებ მაგათ ერთობას... თავისუფლებას... მაგ ძაღლის შვილებს მაკათ... გავატყავებ რომელიც კი ჩამივარდება ხელში... ოჯახს თავზე დავაქცევ... ცოლ-შვილს უტირებ... როგორ ბედავენ ჩემი საკუთრების შეხებას?.. და მერე ისიც მას შემდეგ, რაც მე მაგათ „ბოიკოტი“ გამომიცხადეს!..

ასე ბრაზობდა და დორბლს ჰყრიდა განრისხებული თავადი. სიშმაგისაგან გაყვითლებული თითქმის დარბოდა ეხლა ის და მოუსვენარი ქშინვით ტყისაკენ იხედებოდა. ტყიდან კი უფრო და უფრო მკაფიოდ ისმოდა ცულის ხმა. ეს ხმა მწარედ ხვდებოდა სოლომონს გულზე და ჯავრით სულს ძლივს იბრუნებდა. გადაფრენა რომ შესძლებოდა, გადაფრინდებოდა და ისე დაეცემოდა თავს და გასწიწკნიდა თავის ტყის „ქურდს“, როგორც მშიერი ქორი გასწიწკნის ხოლმე თავის ბრჭყალებში ჩავარდნილ წიწილს. გასწიწკნიდა მას, გაძღებოდა მისი გულიდან ამონაჩქეფ ცხელი სისხლით, გაატყავებდა მერე მას და ამ ტყავით ამოავსებდა ხის ამონაჭერ ადგილს... შეხედავდა თავის ნაქნარს, დასტკბებოდა მისი სისაძაგლით და მერე სიამოვნებით გადიხარხარებდა.

დიახ, სოლომონი ეხლა უფრო მხეცს ჰგავდა, მინამ ადამიანს.

ამ დროს პატარა ოთახიდან გამოვიდა სოლომონის ცოლი ელენა, წკრიალა ხმით ვადასძახა გოგოს და საჩქაროთ მიტრიალდა სახლში შესასვლელათ, მაგრამ ქმარი რომ ასეთ მდგომარეობაში დაინახა, შედგა და გაუბედავათ ჰკითხა;

— „რა დაგემართა, სოლომონ, ხომ არაფერი გტკივა, ან ცუდი ამბავი ხომ არაფერი გაგიგია?..“

— ამბავი?.. თვალების ტრიალით მიუგო ქმარმა:— დაუგდე ყური, ჩვენ ტყესა სჭრიან...

ელენამ გადაიწია ყურებზე კოხტათ გადმოვარცხნილი თმა და ყური მიუგდო, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგონა.

— სად არის, გენაცვალე! რომ არაფერი ისმის“... იკითხა ელენამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხო, აქამდის შეიპყრობდენ კიდევაც და სადაცაა მოიყვანენ იმ თავგასულს იმას, ვიღაცა არის... მე უჩვენებ იმას, თუ როგორც უნდა „ერთობის„ ძალით სხვის ტყეში შესვლა!.. მუშტის მოღერით დაიმუქრა სოლომონი.

— „თუ ღმერთი გწამს არაფერი უყო იმ ღვთისაგან წყეულს და არ ააყვირო... ჩვენი თამრიკო ძალიან ავათ არის, ეხლა ღვიძავს და რომ რამე ხმაურობა გაიგონოს უსათუოდ შეეშინდება“... ამოოხვრით უთხრა ელენამ და საჩქაროთ შებრუნდა სახლში.

აღარ გაუვლია დიდ ხანს, რომ გელამ და ალექსიმ შემოიყვანეს ჭიშკარში ერთი გამხდარი, ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი, ქალამნებში თითებ გამოყოფილი, დაბალი, შუა ხნის გლეხი კაცი... ის გაფითრებული, შეწუხებული და მუხლების კანკალით მოდიოდა მათ წინ და რაღაც სიბრალულის გამომხატველი თვალებით იხედებოდა იქითკენ, სადაც მისი „ბატონი“ სოლომონი იდგა.

ჩვენმა „ქურდმა“ კარგათ იცოდა სოლომონის შეუბრალებელი გულის ამბავი, მიტომ უფრო დაღონებულიყო იგი. რა მოელოდა მას არვინ იცოდა... შეიძლება უხმოთ შემოკდომოდა კიდევაც სოლომონს ხელში... და თუ არა— ორი ან სამი თვე მაინც უსათუოდ საპყრობილეში ჩასვამდენ მას, როგორც „ქურდს“ და „მავნე“ ადამიანს... ამ ხნის განმავლობაში კი მისი ღარიბი ოჯახი აუცილებლათ დაიღუპებოდა... ან კი რა დაარჩენდა, როდესაც არც სარჩო ჰქონდა, არც ფული და არც სხვა შემომტანი ხელი მოეპოვებოდა... მხოლოდ ის იყო ოჯახის ბურჯი, წვრილ-შვილის მრჩენელი, მტრისა და მოყვრის პასუხის მცემი, ხელმწიფისა და ბატონის გადასახადის მიმზღველი... თუ აღარ იქნებოდა ის, აღარ იქნებოდა აღარც მისი საბრალო ქოხი...

ამ ფიქრებით სავსე მიუახლოვდა ის სოლომონს, მოიხადა გახუნებული და ცა ამოგლეჯილი ნაბდის ქუდი და დაბლა თავი დაუკრა. გაალმასებული ბატონი ხმას არ იღებდა და მგელივით მიჩერებოდა მოსულს, შრომისაგან მოტეხილს და გულ მიჟანგებულ გლეხს. კიკოლამ, ასე ერქვა დამნაშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეს, იცოდა, რომ სიჩუმეს ხშირად ელვა-ქუხილი მოსდევს ხოლმე და მიტომ დააპირა თუ არა საბრალომ ბოდიშის მოხდა და თავის შებრალება, სოლომონმა საშინლათ შებღავლა მას:

— „როგორ გაბედე, შე წუწკო, ჩემ ტყეში შესვლა“?..

— მაპატივეთ, ბატონო, გაჭირვებამ გამაბედვინა, შენი კვნესამე... აკანკალებული ხმით მიუგო კიკოლამ და თავი მოიხარა.

— „რაო?.. გაჭირვებამ, თუ გავირებამ“!.. დააკრაჭუნა კბილები სოლომონმა, მოიხადა ნაბადი, შემოიკეცა ჩოხა და მკაცრათ მიუახლოვდა კიკოლას.

კიკოლა სდუმდა... თვალები ცრემლით ევსებოდა და მიწას დაჩერებოდა...

— „რას გაჩუმდი, თქვი!.. რასი გეშინია, „ერთობა“ ხომ მოგიდით“!.- საზიზღრათ დასცინა თავაწყვეტილმა ბატონმა მის წინაშე მოხრილ კიკოლას.

— რა მოგახსენო, შენი ჭირიმე!.. მე ქურდი არა ვარ... დღეს მხოლოთ გაჭირვებამ გამაბედვინა თქვენს ტყეში შესვლა... აღარაფერი გაგვაჩნია... ყველაფერი ხელიდან გამოგვეცალა... ცარიელი დავრჩით... გვშია... ცოლ-შვილი სიცივით მეხოცება და...

— „და მიტომ ჩემ ტყეს მიაგნე!.. აი შე „ბუნტოვჩიკო“ შენა!..

და მივარდა მას. კიკოლამ ცოტა უკან დაიხია და ფეხებში ჩაეკვარდა. სოლომონმა მაინც არ დაინდო იგი; წამოკრა ხელი, წამოაყენა და ზედიზედ ცხვირ-პირში მუშტები მიაყოლა.

კიკოლამ ერთი შეჰყვირა „მიშველეთო“, შემოტრიალდა და იქვე დაეცა. სოლომონმა ჩექმის ქუსლებით თელვა დაუწყო. კიკოლა დასაკლავი ხარივით ბღაოდა და შველას თხოვილობდა, მაგრამ მშველელი არავინ იყო. მოურავი გულცივათ დაჩერებოდა თავზე და სიბრალულის ნატამალიც კი არ ეტყობოდა; სხვა მოსამსახურე ბიჭები კი ატუზულიყვენ სამზარეულო სახლის კედელთან და ამ სურათის სანახაობით შეშინებულებს ვერაფერი გაებედნათ. ვინ იცის, ეს დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ ყოფილიყო, იქნება მიშველებოდენ თავიანთ მეზობელს, მაგრამ დღეს, როდესაც იმათ სოფელში ყაზახეს დაეგბუდნათ, ამას ვერ გაბედავდენ. პატარა მიზეზი საკმაო იყო, რომ ბატონის საქმეში ჩარევით, სადმე ცივ ქვეყანაში ამოეკრათ მათთვის თავი. სოლომონის გული არა და არ ძღებოდა და კიკოლას უსათუოთ მის წიხლებ ქვეშ უნდა დაელია სული, მაგრამ ამ დროს, კიკოლას ოღბლათ გამოვარდენ სახლიდან ბავშები—ორი თან-ტოლი, ლამაზათ ჩაცმული, პატარა ყმაწვილი და საშინელი წივილ კივილით მივარდენ სოლომონს.

— მამა, არ მოკლა გენაცვალე, არ მოკლა შენი ჭირიმე!.. ეხვეწებოდა ერთი მათგანი, რომელიც უფრო პატარა იყო სოლომონს და წელზედ ებღაუჭებოდა. მეორე კი—უფრო მოზრდილი გადაეფარა კიკოლას და თავის პატარა ხელებით უნდოდა იგი წაპოეყენებინა, თან მამას გულნატკენათ ეკითხებოდა.

— რას ერჩი მამა, რასთვის ჰკლავ ამ უბედურს?.

— ,,მაგან ჩვენი ტყე გასჭრა... ეგ მოსაკლავია''!.. ბღაოდა სოლომონი.

— როგორ ჩვენი, შენ დარგე თუ?.. საყვედურით შეეკითხა შვილი სოლომონს და თან ყოველ ღონეს ხმარობდ რამენაირათ მოეშორებინა იგი მიწაზე გაშხლართული კიკოლასაგან.

— ჩვენი თუა, მე ჩემ ნაწილს ვაძლევ ამ უბედურს. ნუღა კლავ!.. ეხვეწებოდა უნაროსი მამას და თავისკენ ეწეოდა,

ბოლოს, როგორც იქმნა მოალბო ამ პატარეების გულუბრყვილო თხოვნამ გაშმაგებული ადამიანი და ის მოშორდა გულმიხდილ კიკოლას...

შალვამ და გოგამ, ასე ერქვა ჩვენ პაწიებს, უშველეს კიკოლას ადგომა, მოაბანინეს სისხლი, უპოვეს სადღაც გადაკოტრიალებული ქუდი, დაამშვიდეს და შინ გაისტუმრეს. უნდოდათ წართმეული ცულიც გაეტანებიათ, მაგრამ მოურავმა

ეს მათ არ დაანება, რადგანაც ბატონის ბრძანება ასეთი ყოფილიყო.

დალილებული, გასვრილი, დამცირებული, გულ ამომჯდარი და მიწასთან გასწორებული კიკოლა ფრატუნით გაუდგა გზას.

II

დაღამდა. სოლომონის სახლში აანთეს ლამფები, ჩამოუშვეს ფარდები, გააძლიერეს ბუხარში ცეცხლი და სავახშმოთ სუფრა გაშალეს. დიდი მადით მიირთვა სოლომონმა ვახშამი. ისე მხიარულათ იყო ის ამაღამ, თითქოს ბუზიც არ აჰფრენოდეს და კეთილ საქმის მეტი არაფერი გაეკეთებიოს...

რა უყოთ რომ გლეხსა სცემა!.. იმის ჭკუაში გლეხები იმიტომ არიან გაჩენილი, რომ სხვისთვის იმუშაონ და თუ მოისურვებს ეს ,,სხვა''—მიტყეპოს კიდევაც მისი მრჩენელი შრომის შვილი... ეს საზოგადო კანონათ ჰქონდა მიჩნეული სოლომონს და მიტომაც სვინდისი არ აწუხებდა და არ ქეჯნიდა მას...

სოლომონს დღევანდელი შემთხვევა ამიტომაც არაფრად მიაჩნდა... ის სიცილის გუნებაზედ იყო... უნდომათ ილიმებოდა... მაგრამ ხან-და-ხან მოიქუშებოდა ხოლმე, მიიხედავდა საბავშო ოთახისაკენ და წყენითა და თავის ქნევით იტყოდა: „ერთი დამიხედეთ ჩემ ვაჟებს!.. სოციალისტებათ იზრდებიან!.. მაგრამ მე ვაჩვენებ მაგათ სოციალისტობას!..“ ბავშებს კი ამ დროს გულიანათ ეძინათ... მამის რისხვას არ ისმენდენ... გული არ უფართხალობდათ. ისინი დღევანდელი დღის თავის მადრიელნი იყვენ... ხვალინდელი მოლოდინიც უამებდა მათ გონებას. რადგანაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, მწყემსიშაქრას დახმარებით, უეჭველად მოეპარათ მოურავისთვის ცული და თავის ფეხით წაელოთ პატრონისთვის. წმინდა და კეთილი იყო მათი განზრახვა და მიტომ ეძინათ ასე ტკბილათ, უდარდელათ.

ვერ დაეძინა მხოლოთ თამრიკოს... ის ამაღამ ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწუხდა... იმანაც მოჰკრა ყური კიკოლას ბღავილს, შეეშინ-
და, ჩაჰყვა გულში და რამდენჯერაც კი წადებდა თავს,
სულ ამას ბოდავდა „არიქა მიშველეთ, მამა დათვათ გადაიქცა
და შეჭმას მიპირობსო!..“ წამოიყვირებდა, წამოხტებოდა ლო-
გინში და საცოდავათ აცეცებდა თვალებს... ელენესაც, რასა-
კვირველია, თვალი არ მოუხუჭავს, უჯდა თამრიკოს თავქვეშ,
უვლიდა, აშოშმინებდა, ლოცავდა და თან ცრემლ მორევთი
ბუტბუტებდა:

„ღმერთო, ღმერთო, რათ უნდა გადახდეს მამის ცოდვა
უსუსურ ბავშებს?!“

სოლომონი კი ხვრინავდა... აინუნშიაც არ მოსდიოდა.
ასეთ მდგომარეობაში იყო დედა-შვილი, სანამ ალიონმა არ მო-
ატანა, მაგრამ ირიჟრაჟა თუ არა—თამრიკოს როგორც იქნა
ჩაეძინა. ელენაც მიუწვა მას გვერდში და დაღლილმა მალე
დაიძინა...

მამლებმა ყივილი ასტეხეს.., სოფელს გათენება ამცნეს...

ბავშების ოთახშიაც შეატანა სინათლემ, წამოჰყო თავი შა-
ლვამ, ჩუმათ ადგა, გააღვიძა გოგა, საჩქაროდ ჩაიცვეს და ფეხ
აკრეფით გამოვიდენ ოთახიდან, დაეშვენ იქიდან დაბლა, მო-
სძებნეს შაქრა, ის ამ დროს პირს იბანდა, და დაუწყეს ცულს
ძებნა... ცული ხოროზედ იყო ჩამოდებული. მოჰკრა ამას თვა-
ლი გოგამ და საჩქაროთ აცოცდა ხოროზე, მაგრამ უცბათ ფეხი
დაუცდა და მიწაზე ბრაგვანი მოადინა. მაშინ შაქრა აძვრა
ზევით, გადმოაგდო ცული, დაიწერა პირჯვარი და გადმოხტა,
მერე წამოავლო ხელი ცულს, ამოიფარა დახეულ ფარაჯის
ქვეშ და სამნივენი წაცუნცულდენ ჭიშკრისკენ. ფრთხილათ
გააღეს ჭიშკარი და ჩქარის ნაბიჯით დაჰყვენ შარას... თანაც
უხარიათ, რომ ასე შეუმჩნევლათ მოახერხეს ყველაფერი და
წარმატებით მიახწიეს თავიანთ მიზანს... შედეგი მაინცა-და-მა-
ინც არ აშინებს მათ. მართალია მამა გაუჯავრდებათ და შე-
იძლება ყურებიც აუწიოს, მაგრამ ასეთი კეთილი საქმისთვის
კარგათაც რომ სცემოს მათ, მაინც არაფრათ ჩააგდებენ... სახე
უხარით, მირბიან, მიკუნტრუშობენ და აი მიუახლოვდენ კი-
დევაც კიკოლას ქოხს. სახლის გვერდში ერთი გამხდარი ჭრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ძაღლი იწვა, რა გაიგონა ბავშების ფეხის ხმა, ზარმაცათ წამოჰყო თავი. სამიოჯელ დაიყეფა და გაჩუმდა.

ძაღლის ყეფაზე ქოხიდან გამოძვრა ერთი ათიოდე წლის თავ გაბუძგული ბიჭი და თავადიშვილებს რომ შეხედა, მაშინათვე უკან შებრუნდა... მალე დახეული კაბით, ჭუჭყიანი ხელმანდილით თავწაკრული და ფეხშიშველა დედა-კაცი გამოვიდა და მიეგება დილის პატარა სტუმრებს.

— აი, ჩვენ ცული მოუტანეთ კიკოლას და გვინდა გავიგოთ, როგორ არის?.. გუშინ მამა ჩვენმა... დაიწყო შალვამ, მაგრამ უცბად გაჩუმდა, გაწითლდა და თავი დახარა.

— „მადლობთ, ჩემო ბატონის შვილებო!.. ისე მტერი გაგიხდეთ, როგორც ეხლა კიკოლა იყოს. ძალიან ავათ არის... მორჩება თუ არა არ ვიცი“... ცრემლ მორევით უპასუხა დედა-კაცმა და შაქრას ცული ჩამოართვა.

— როგორ, ძალიან ავათ არის?.. თითქმის ერთ ხმად წამოიძახეს ბავშებმა.

— „დიახ, ბატონო, სიცხე აქვს და ფერდებს იტკენს“. ბავშებმა არ იცოდენ რა ექნათ... როგორ ენუგეშებინათ გულდამწვარი დედა-კაცი... უნდოდათ შესულიყვენ ქოხში და ენახათ ავათმყოფი, მაგრამ ვერ ახერხებდენ... რცხვენოდათ... რცხვენოდათ თავიანთი თავის, კიკოლას ცოლისა და იმ ბავშების, რომელთაც გამოეყოთ თავი ქოხის კარებიდან და გაკვირვებით მიჩერებოდენ მათ.

— აი, ეს ორი მანეთი, დიდი ყოყმანის შემდეგ თქვა შალვამ და გაუწოდა ორი თითო მანეთიანი კიკოლას ცოლს.—წაიღეთ. ეს ჩემი საკუთარი ფულია.; ნათლია ჩემმა მაჩუქა... წაიღეთ და ექიმი მოიყვანეთ... უსათუოთ მოარჩენს.

— „აი, ეს ჩემი მანეთიც, ამით წამალი უყიდევით.“—დარცხვენით უთხრა გოგამ დედაკაცს და ფული ჩაუდვა ხელში.

ამას შემდეგ ბავშებმა ერთი კიდევ გადახედეს გვერდზე წამოწოლილ ისლით დახურულ კიკოლას ქოხს, გამოტრიალდენ და საჩქაროთ გიუდგენ გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკოლას ცოლმა მადლობაც ვერ გადაუხადა ბავშვებს... სიზმარში ეგონა თავის თავი... მაგრამ რომ გამოერკვა და ხელში ფულები დაინახა, ქვითინით წამოიძახა:

„გფარავდეთ ღმერთი, პატარეებო!..

გაშოროთ თქვენი მშობლების ცუდ მაგალითს“!..

ალ. ლოლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი მწუხარება.

ეე უნდა გიამბოთ ერთი ამბავი თეთრ დათვზე და ერთ ცელქ მაიმუნზე, რომელნიც ჰყავდათ დამწყვდეული ზოოლოგიურ ბაღში.

ამ ცხოველების გალიები ერთმანეთს პირისპირ ისე ახლო შეჰყურებდნენ, რომ დათვი თავის გამჭრიახი თვალებით კარგათ ხედავდა მაიმუნის ყოველგარ მანჭვა-გრეხას, მაგრამ არა, დათვს ქვეყანაზედ არაფერი არ ენიაზებოდა და, რასაკვირველია, არც მაიმუნი; ის იყო დარდისაგან შეწუხებული, ყოველთვის ჩაფიქრებული, ყოველთვის ნაღვლიანი.

როცა ხალხი მიუახლოვდებოდა დათვს, ბავშვები ცნობის მოყვარეობით გატაცებულნი შეჰყურებდნენ, ის კი მოჭმუხვნილი ერთი კი შეხედავდა მათ და მერე ზურგს შეაქცევდა ხოლმე. ბავშვები ელოდებოდნენ, დათვი ან ეხლა მობრუნდება, ან ეხლა და კარგად გავშინჯავთო, დათვი კი განუძრეველად იდგა. მერე ერთბაშათ ჩავიდოდა თავის წყლის აუზში, ჩაღუნავდა თავს და დიდხანს ასე გაჩერდებოდა.

— რათ არის დათვი ასე მოწყენილი? გაიძახოდენ მოუთმენელად ბავშვები.

— სულ ერთ ადგილას რათა დგას?

დათვს კარგათ ესმოდა, დიდრონები როგორ უხსნიდნენ ბავშვებს ამ საკითხს.

— ეგ იმიტომ არის შეწუხებული, რომ ეხლა მაგას

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინლათ სცხელა! ზამთარში უფრო მხიარულათ არის ხოლმე.

სცხელა.. არა, დათვის მოწყენილობა მარტო იმაში არ გამოიხატებოდა. განა მარტო სცხელა?... არა! სწუხს, ნაღვლობს მარტოობას. დათვი ნაღვლობდა გულით და სულით თავის საყვარელ სამშობლოზედ დაშორებას.

იქ, თავის სამშობლოში ის იყო სრული მეფე, ნამდვილი მფლობელი თვალ გაუწვდენელ თოვლიან მინდვრებისა და მობჯყვინალ ყინულოვან მთებისა!

იქ, გრილსა და ცივ ჰაერზე, უფრო თავისუფლათ სუნთქავდა. იქ, იმის თვალების გამომეტყველობას უფრო სიცოცხლე ეტყობოდა. დათვის მარდი თათები იქ გაყინულ მთებზედ უფრო მარდათ დასრიალებდნენ; იმისი სქელი და გძელი ბეწვი იქ თეთრად ჰქონდა გაბანჯღვნილი და აქ კი გასაჩეჩ მატყლსავით დაჰკიდვია.

იქ, ჩრდილოეთში, სამშობლო მხარეს, დათვი იშვიათად ხედავდა ადამიანს და, თუ შეხვდებოდა იმას სადმე, ისე შეაშინებდა, რომ ის ფაცხა-ფუცხით გაურბოდა. ნადირობდა დათვი სელაპებზედ, ლომთევზაზედ და ჰკლამდა წყლის ძაღლებს! იქ, სწორეთ იქ, იყო თეთრი დათვისათვის თავისუფალი სიცოცხლე! აქ კი?..

მარტო ცხელა? გალია? ეს მუდმივი ხალხის მისვლა-მოსვლა, ტრიალი? საჭმელი, რომელიც თითონ არ უშოვნია? აუზის საზიზღარი წყალი, რომელიც სულაც ისე არ აგრილებს, როგორც ჩრდილოეთის ცივი ბუქი!.. მართალია წყალში ჩავა ხოლმე; რაც უნდა იყოს, სულ მზეზედ ყოფნას მაინც სჯობიან, ან რა უნდა ჰქნას, სად წავიდეს. რით გაირთოს მწუხარე გული?

ისიც ხომ ისე არ იხტუნავებს, როგორც იმის მეზობელი მაიმუნი! რა საძაგელი არსებაა!.. აი სწორედ ამ მახინჯმა არსებამ დაიჟინა და მუდამ დათვისაკენ თხილსა და ხილს ისვრის. ერთხელ, როცა დათვი აუზში იდგა, მაიმუნმა ესროლა პატარა წითელი ვაშლი, რომელიც დათვის ცხვირწინ დაეცა. პატარა მაიმუნი ესვრის ხილს დათვს და მხიარულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათ შესცქერის, იმანჭება, თითქოს უნდა დათვი გააცინოს, გაამხიარულოს.

„რა ქნას, უნდა როგორმე გაამხიარულოს მწუხარებით გულ ჩაღვრემილი თეთრი დათვი!

დათვი კი ზურგს შეაქცევდა ამ მოუსვენარ მაიმუნს. მარტო სულელ მაიმუნს ეგონა, რომ მის მანჭვა-გრეხით თეთრი დათვი გულიდან დარდს გადიყრის და გაიცინებსო!

არა!.. რამდენმა დრომაც უნდა გაიაროს, დათვს ვერავინ გაამხიარულებს, ის ალერსიანათ არავის შეჰხედავს, ვერ მიეჩვევა, საბრალო, ტყვეობას, თავისუფლების დაკარგვას.

ხშირათ დათვი წყლიდან ყურადღებას აქცევდა მოუსვენარ მაიმუნს. ეტყობოდა, რომ ამ ცელქ გიჟუნია მაიმუნს ქვეყანაზედ არაფერი აწუხებს: მუდამ დახტის, ცელქობს! ადის ხეზედ, რომელიც ამოსული არის გალიაში, ბავშვებს თავიდან ქუდებს და ხელიდან ყვავილებსა სტაცებს, სწრაფათ ახრამუნებს შაქარს, ამტვრევს თხილს, მირბის ამხანაგთან და ყურებს უკან უფხანს, უჭერს კუდს, თათებიდან ღღებს ხიჭვებს, ყელზედ ახტება და უალერსებს.

— საშინელი სულელია ე მაიმუნი, საშინელი! არაფრის დარდი არა აქვს, არაფერი აწუხებს! მაგისათვის სულ ერთია,—გალიაში დატყვევება, აუტანელი სიცხე, ხალხი... ოღონდ კი ხალხმა გაანებივროს და აჭამოს! დათვი გულმოსული თავს არიდებდა ეშმაკობით სავსე მაიმუნს.

იქვე ახლოს, მარჯვნივ მოჩანდა ლომის გალია. ის ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებოდა, თან ამაყათ შეჰყურებდა ხალხს, რომელიც დიდის სიამოვნებით აკვირდებოდა ლომის სიმშვენიერეს!

აი ვეფხიც თვალდახუჭული ტკბილათ უმზერს მზეს და მხიარულათ იქნევს კუდს!

ყველანი კმაყოფილნი არიან, ყველას დაავიწყდა თავისუფლება! თითქო ყველანი შეჩვევიან ტყვეობას!

თეთრი დათვი-კი თან და თან უფრო დარდს მიეცა, უფრო დაღვრემილი გამოიყურებოდა, ისევ გაჯავრებული შესცქეროდა დარაჯს, ბავშვებს და თავისს წყლის აუზს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ უნდა უყურის დარაჯს ალერსიანათ, როგორც ამას მაიმუნი ჩადიოდა... განა ამისთანა მწუხარებით გამჭვალულ არსებას, როგორიც იყო დათვი, შეუძლიან ვისიმე ალერსი, ან შეყვარება? დათვი ერთს ალაგს გაჩერებული ყურს უგდებდა ბავშვების ლაპარაკს, რომლებიც ხან დათვზედ ლაპარაკობდნენ, ხან მაიმუნზედ.

— რა კარგი მაიმუნია! რა ჭკვიანი თვალები და ლამაზი თათები აქვს!

— შაქარი მიეცით!

— მე კი ვაშლს მივცემ,—სჭაამს?

— სჭამს, ყველაფერსა სჭამს!

— უყურე, უყურე, ყვავილები მოიტაცა და გაიქცა!

დიდ სიამოვნებას გრძნობდნენ მაიმუნის მნახველი ბავშვები, ყველას ასიამოვნებდა მხიარული მაიმუნი! ბებერ დარაჯს საშინლათ უყვარდა თვალთმაქცი მაიმუნი, ხშირად მოუტანდა ტკბილეულობას.

თეთრმა დათვმა შენიშნა, რომ რამდენიმე ხანია მაიმუნს იმისათვის აღარ გადმოუყრია არც კენჭები და არც თხილი. ცნობის მოყვარეობამ გაიტაცა ეს ცხოველი, ხშირათ იმის გალიისკენ იცქირებოდა და ბოლოს შეატყო, რომ მაიმუნი რაღაც ღრმა მწუხარებას შეეპყრო... მაგრამ, რამდენიმე წამის შემდეგ მაიმუნმა ხელ-ახლად დაიწყო ხტუნაობა და სასაცილოთ .მანჭვა-გრეხა.

— ალბათ თუ მომეჩვენა! იფიქრა დათვმა:—განა სულელ მაიმუნს შეუძლია დარდი რაზედმე, თავის დღე ცელქობაში, ხტუნაობაში და ლაქუცობაში გაუტარებია.

ერთ საღამოს მაიმუნი მიეკრა გალიის მავთულებს და დაიწყო:

— გამიგონე, დათვო! შენ უთუოთ იმიტომ ხარ ყოველთვის აგრე მოწყენილი, რომ აქ ასე ცივა?.. შენ უთუოთ ნატრულობ, რომ მზის სხივებმა გაგათბოს?

დათვმა ეს სიტყვები შეურაცხოფათ მიიღო.

— თავი დამანებე, წამ და უწუმ ნუ მაბეზრებ თავს რაღაც შენიშვნებით!., ეხუმრე შენ ტოლს, შენ ამხანაგებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენსავით სულელ და პრანჭვიებს, მე ჩამომეხსენ, თავს ნუ ბეზრებ, დათვმა შეჭმუხვნით გადახედა მაიმუნს.

გავიდა რამდენიმე დღე, მაიმუნი ჩვეულებრივ გამხიარულდა, მაგრამ ერთ საღამოს მოიბუზა და ხელ-ახლად დაღონდა, რაღაზედაც სწუხდა.

— დათვო, ყური დამიგდე, რა გითხრა! მე ყოველთვის ვხედავდი შენს მოწყენილობას! მესმოდა შენი დარდი, გულით და სულით ვცდილობდი შენ გამხიარულებას... შენ გცივა განა? გსურს ჩათბუნება და მზეზედ წოლა?

მაგრამ დათვმა ხელ ახლა არაფერი უპასუხა, ყურადღებაც არ მიაქცია მაიმუნს.

პატარა მაიმუნი ჩაეხუტა თავის ამხანაგს და ძილს მისცა თავი.

მეორე დღეს მაიმუნი ისევ გამხიარულდა, თხილს აკნატუნებდა. ასე გადიოდა დრო...

ერთხელ დათვს მოესმა რაღაც გულ-საკლავი ხმა:

— მეც აგრეთვე მცივა, როგორც შენ, დათვო! დიდის სიამოვნებით მივეკვრებოდი შენ თბილ ქურქს და ორივენი დავთბებოდით!

მაიმუნის ამგვარ სიტყვებმა დათვს ძალიან აწყენინა, მაგრამ ეს სიტყვები ისეთი მწუხარების კილოთი იყო ნათქვამი, რომ დათვმა მაიმუნის გალიისაკენ მიიხედა.

ამან ერთბაშად ვერ შენიშნა მაიმუნი, რომელიც ჩვრებში გახვეულიყო, მოეკუჭნა თავისი პატარა ტანი, თათები უკანკალებდა, მარტო თვალებს გაჰქონდა ბრჭყვიალი.

— მე სულაც არა მცივა! — ჩუმათ მიუგო დათვმა. — არც კი ვიცი, რა არის სიცივე, შენ ტყუილათ დამცინოდი.

— სულაც არ დამიცინია შენთვის! წაილუღლუღა მაიმუნმა. — მე ყოველთვის მეცოდებოდი და იმიტომ გიკერძავდი ხილს... მაშ თუ არა გცივა, როგორც მე მგონია, რათა ხარ აგრე ყოველთვის მოწყენილი და რაზედ სწუხარ?

— მე მეტის მეტათ მცხელა და... შენ არ გესმის, მაიმუნო, მე რაზედაცა ვნაღვლობ, — მე ვწუხვარ ჩემ სამშობლოზედ, მოშორებულ სამშობლო მხარეზედ.

თავისუფალი ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ შენც აგრე?—წამოიძახა მაიმუნმა.—მე ხომ... მე ყოველ წამს ვიგონებდი დაბურულ ტყეებს, ვნატრობდი ცხელ მზის სხივებს, ვფიქრობდი სხვა და სხვა გემრიელ ხილზედ... იცი რა გითხრა, დათვო? მე ვერ ავიტან სამშობლოს მოშორებას, უთუოთ დარდისაგან მოვკვდები.

ამგვარმა ლაპარაკმა დათვი გააოცა, ვერ წარმოედგინა თუ მხიარული, ცელქი მაიმუნი დარდისაგან მოკვდებოდა და უნდობლად თავი აქეთ-იქით გაიქნია.

— შენ აგრე გგონია! შენ ალბათ ეხლა ძალიან გცხელა, შენ თითონვე არ იცი რას ამბობ!

ორი დღის შემდეგ დათვი დაღონებული გაიყურებოდა მაიმუნის გალიისაკენ; ხედავდა, დარაჯს მიჰქონდა საწყალი მაიმუნის გაციებული გვამი.

დათვს გარკვევით ესმოდა დარაჯის ლაპარაკი:

— საწყალი მაიმუნები! ყველანი ასე ესალმებიან თავიანთ სიცოცხლეს; დახტიან, მხიარულობენ და შემდეგ კი ჭლექით იხოცებიან!

დარაჯმა გალიის კარები გამოიხურა, წავიდა და თან პატარა მაიმუნის გაცივებული გვამი წაიღო.

დათვი ფიქრებმა გაიტაცეს...

დღეის იქით თხილს აღარავინ ესროდა; აღარ ისმოდა ცელქი მაიმუნის ხტუნვა და მისი წყნარი ხმა! ეხლა აღარავინ უშლიდა დათვს თავის ფიქრებს მისცემოდა, მაგრამ მაიმუნის სიკვდილის შემდეგ დათვი უფრო დაღონდა.

იგი ხშირათ იგონებდა მხიარულ და ალერსიან მაიმუნს, რომელიც სამშობლოზედ ნაღვლობდა და სამშობლოს დარდმა გადიტანა.

დათვი დარწმუნებული იყო, რომ ლომიც აგრეთვე ნაღვლობდა თავისუფლებაზედ; ვეფხსაც უსათუოდ ენატრებოდა მზეზედ ნავარდობა; სპილოც ნამდვილათ დარდობდა თავის ბუნაგში... მაგრამ არც ერთი ისე არ იყო მწუხარებით და დარდით შეპყრობილი, როგორც ცელქი და მოალერსე მაიმუნი!...

ვ. მიქაბერიძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვათა ქცეული.

ხალხური ზღაპარი

ყო და არა იყორა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, შაშვი იყო მგალობელი, ღმერთი იყო მწყალობელი. იყო ერთი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს ჰყვანდა ვეზირი, რომელიც დიდი ერთგული იყო მისი. მოხუცდა ეს ვეზირი, აღარ შეეძლო ხელმწიფის სამსახური და დიდად სწუხდა, რომ ვაჟი არა ჰყავდა თავის მაგივრათ დაეყენებინა მის საყვარელი ხელმწიფის კარზე.

წავიდა სახლში. ბევრი იფიქრა და ბოლოს თავისი უფროსი ქალი გამოაწყო ვაჟის ტანისამოსით და უთხრა: შენ ჩემს მაგივრათ დაგაყენებ ხელმწიფესთან, მაგრამ რადგან ხელმწიფემ იცის, რომ მე სამი ქალი მყავს და ვაჟი-კი არა მყავს, უთუოდ გკითხავს, საიდგან იშოვა მამაშენმა ასე უცბად ვაჟიო? შენ უთხარი: მე ძიძას ვყავდი აქამდინ და ახლა რაკი სახლში დავბრუნდი მამაჩემმა თავის მაგივრად ჩემი თავი გაახლათქო. ის მოჰხუცდა და ახლა მე გემსახურებითქო. ასე დაარიგა და გაისტუმრა, თითონ ახლო გზით მოუარა და თავის ქალს წინ დაუხვდა სხვანაირათ ჩაცმული, ჩაუსაფრდა გზაში და დაუძახა: შედექ, ვერ წახვალო! ქალმა იკივლა შიშისაგან და მამამ აღარ გაგზავნა, არ გამოდგებიო. ახლა მეორე ქალი გაგზავნა, და ამასაც ისე დაემართა.

ბოლოს უმცროსი ქალი გამოაწყო ვაჟის ტანისამოსით და გაისტუმრა. თითონ წინ გაუსწრო და გზაში დაუხვდა: შედექო, დაუყვირა. ქალი არ შეშინდა და უთხრა: „მამაჩემს, რომ არ გიგვანდეს წვერები, ახლავ სულს გაგაფრთხობინებდიო". მამას გაუხარდა და უთხრა: წადი, შვილო, წადი, შენ გამოდგები ჩემს მაგივრათაო. მივიდა ქალი სასახლეში და ხელმწიფეს მოახსენა: თქვენმა ერთგულმა ვეზირმა, მამაჩემმა, რადგანაც თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თონ ძლიერ მოხუცდა და თქვენი სამსახური აღარ შეუძლიან, ჩემი თავი გაახლათ თავის მაგივრათაო. ხელმწიფემ უთხრა: მე ძალიან მოხარული ვარ, რომ მამაშენმა თავის მაგივრათ თავისი შვილი გამომიგზავნა, მაგრამ მე ის ვიცი, რომ მამაშენს ვაჟი არა ჰყავს. ქალმა მაშინ მოახსენა: ხელმწიფეო, მე სწორედ მამიჩემის შვილი გახლავარ, მხოლოდ მე ძიძასთან გახლდი ძალიან შორს და რაკი მოვიზარდე შინ წამოსვლა მოვინდომე და წამოველი კიდეც. აღარც მამაჩემს ჰქონდა იმედი, რომ მე ვიყავიღა სადმე, მაგრამ რაკი მნახა დაიჯერა და თქვენთან გამომგზავნაო. იამა ხელმწიფეს და დაიტოვა თავისთან.

ხელმწიფეს ჰყავდა ერთი ქალი და როცა ეს ქალი სადმე წაბძანდებოდა, ეს ყმაწვილი მას თან ახლდა ხოლმე. ამასობაში ამ ქალს ძალიან შეუყვარდა ეს ყმაწვილი და უთხრა: მე შენ მომწონხარ და უნდა შეგირთოო. ამ ყმაწვილმა უარი უთხრა. გავიდა ხანი და კიდევ უთხრა: უთუოთ შენ უნდა შემირთოვო. ყმაწვილმა ხმა არ გასცა, რას ეტყოდა, როდესაც თითონაც ქალი იყო. გახდა ავად ხელმწიფის ქალი და თქვა: თუ გველის ქვეყნიდან სამი მტევანი ყურძენი არ მომიტანეს ჩემი მორჩენა არ შეიძლებაო! დაუძახეს ვეზირის შვილს და უთხრეს, რომ წასულიყო ყურძნის მოსატანათ. ამ ყმაწვილმა მეფეს თავის რაში სთხოვა, შეჯდა ამ რაშზე და წავიდა. იარა, იარა და მიადგა გველების ქვეყანას, ნახა ერთი ქალი, ეს ყმაწვილი მივარდა ამ ქალს და ძუძუზედ კბილი მოუჭირა, ქალმა ჰკითხა: რა ამბავია, რა გინდაო? ყმაწვილმა უამბო ყველაფერი. ქალმა მოუკრიფა სამი მტევანი ყურძენი და უთხრა: აი წაიღე და მანამ სახლამდინ არ მიხვიდე არც უკან მოიხედო და არც ხმა ამოიღო. ასე მოიქცა და მიიტანა ყურძენი. მაგრამ ხელმწიფის ქალი უფრო ავათ გახდა და თქვა: მანამ ქვათა-ქცეულის ქვეყნის ამბავს არ შევიტყობ, ჩემი მორჩენა არ შეიძლებავო. ხელმწიფემ უთხრა: აბა, შვილო, ვინ შეიტყობს იმ ქყეყნის ამბავსაო?

ქალმა კიდევ იმ ყმაწვილზე ანიშნა. კიდევ სთხოვა რაში ხელმწიფეს ამ ყმაწვილმა, შეჯდა ამ რაშზე და წავიდა. მიიყვანა ამ რაშმა სწორედ იმ ქვეყანაში, სადაც ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველისფერი ქვათ იყო გადაქცეული, მხოლოდ ერთი კაცი-ღა იყო, რომელიც წელს დაბლა ქვათ გადაქცეულიყო და წელს ზევით ადამიანი იყო. ალექსიმ ჰკითხა: (ამ ვეზირის შვილს ალექსის უწოდებდნენ) რა მიზეზია, რომ ეს ქვეყანა სულ ქვათა ქცეულაო. კაცმა უპასუხა: მე მყავს ქალი გრძნეული და წყეული, იმას თორმეტი ქმარი ჰყავს და იმან, გარდა ამ თორმეტი კაცისა, ყველა ქვათ აქცია. მე გირჩევ შენც წახვიდე, თორემ საცაა მოვა და შენც ქვათ გაქცეესო. ყმაწვილმა მიუგო: მე არ მეშინიან, მხოლოდ, შემატყობინე როცა მოვიდესო და თითონ მიიმალა. ამ დროს კიდეც გამოჩნდა ეს ქალი, მამამ ამ ყმაწვილს უთხრა, როგორც შემოვიდა ქალი და ამ ყმაწვილმა თმაში წაავლო ხელი და ძირს დასცა. ქალმა დაიკივლა და თქვა: ვინა ხარ, რომ შენ მაგას მიბედავ, კაცი ხარ ქალათამც ქცეულხარ და ქალი ხარ კაცათაო. იქცა კაცათ ეს ვეზირის ქალი და უთხრა: ახლავე ეს ქვათ ქცეული ქვეყანა ისევ ისე გადააქციე, როგორიც წინად იყო. მერე ამ ყმაწვილმა მოჰკლა ეს ქალი, ამისი თორმეტი ქმარი და გაიხარა ამ ქვეყანამ. დიდი საჩუქარი აძლიეს ვეზირის შვილს, მაგრამ არ გამოართო, მხოლოდ, იქაურმა ხელმწიფემ წერილი მისწერა ამ ყმაწვილის ხელმწიფეს და ამ წერილით შეატყობინა ყველაფერი, რაც ვეზირის შვილმა სიკეთე ქმნა. მოვიდა ყმაწვილი ხელმწიფის სახლში და მოართვა თავის ხელმწიფეს წერილი.

ხელმწიფის ქალმაც გაიგო ყველაფერი და მოხუცმა ვეზირმაც. ამის შემდეგ ხელმწიფის ქალი მორჩა და უთხრა ვეზირის შვილს: ახლა-კი უეჭველათ უნდა ქმრათ შეგირთვო. მაშინ ყმაწვილმა მოახსენა: თუ მამა თქვენი ნებას დაგრთამთ მე დიდის სიამოვნებით შეგირთამო. ხელიწიფეს ძალიან უყვარდა ეს ვეზირის შვილი და ნება დართო. მაშინ დაიბარეს მოხუცი ვეზირიც, რომელიც მაინც ხელმწიფის სასახლეში ცხოვრობდა და ეს ამბავი უთხრეს. რასაკვირველია, ამასაც გაუხარდა, რადგან შვილისაგან შეიტყო მისი თავს გადასავალი. დასწერეს ჯვარი. რადგან ხელმწიფე მოხუცდა, სიძეს გადასცა ხელმწიფობაც და სცხოვრობდნენ ყველანი ბედნიერათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უგულო გავშვი.

მოთხრობა მონგომერისა*)

V

ინგლისში სახელმწიფო საქმეებს განაგებენ ხელმწიფე და ხალხისაგან არჩეული კაცების კრება, რომელსაც პარლამენტი ჰქვია, ორივე ერთათ. პარლამენტში არჩეულ კაცებს დეპუტატები ჰქვიათ. დეპუტატებს ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ ირჩევენ. არჩევნის წინ დეპუტატები საზოგადოთ თავის ამრჩევლებს, თავისი და ახლო-მახლო სოფლების ხალხს, სადილათ დაპატიჟებენ ხოლმე, ძალიან გაუმასპინძლდებიან და თან აუხსნიან, თუ ისევ აგვირჩევთ პარლამენტში, იქ ასე და ასე მოვიქცევით და ასე დავიცავთ ჩვენი კუთხის ინტერესებსო.

სერ ეევერარდი დეპუტატათ იყო. წრეულს მისი არჩევანი უნდა ყოფილიყო და იმიტომ უმართავდა ის სადილს თავის ამრჩევლებს, რომლებსაც მან აბორიგენები დაარქვა, ჩარლსმა კი — ველური ხალხი.

—

პატარა ვილლი საშინლათ შეწუხდა როცა გაიგო, პარასკევს, როცა ჩვენსას სადილათ ველურები იქნებიან, მე ჩემი ოთახიდან ვერ გამოვალო. მას სანუგეშოთ ჯორჯი დაპირდა, ყველაფერს დაწვრილებით გიამბობო.

— უთუოთ ველურებიც იმას ჭამენ, რასაც ჩვენ! — უთხრა ძმას ჯორჯმა. ის დილიდანვე ხან სასადილო ოთახში და ხან სამზარეულოში ძვრებოდა, ელოდა, უთუოთ რასმე ტრ-

*) იხ. ჯეჯილი № IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეულოს და უცნაურს მოამზადებენ სადილათო, მაგრამ ვერაფერი უჩვეულო ვერ შეენიშნა.—სულ ისეთ საჭმელებს უმზადებენ, როგორც ჩვენთვის ამზადებენ ხოლმე!

— აბა უთუოთ პირველათ ჭამენ ჩვენსავით!—გადაწყვიტა ვილლიმ. ბავშებმა წარმოიდგინეს, როგორ გაუკვირდებოდათ ველურებს, ახალ უცნობ საჭმელებს რომ დაინახავდენ. —და მხიარულათ დაიწყეს სიცილი და ხუმრობა.

სერ ევერარდი გვიან მოვიდა და პირდაპირ ვილლის სანახავათ შევიდა. მის და საუბედუროთ ისე მოხდა, რომ ჯორჯს ვერ შეხვდა, ჯორჯი ამ დროს ვირჟინის დახმარებით ველურებთან გასასვლელათ ირთვებ-იკაზმებოდა. სერ ევერარდსაც ძალიან ეჩქარებოდა, ამიტომ იმან საჩქაროთ დაჰკოცნა პატარა ვილლი და თითონაც ჩასაცმელათ წავიდა.

სტუმრები მოგროვდენ. სერ ევერარდიც გავიდა სასტუმრო ოთახში, გაიმართა საერთო ლაპარაკი და დავა. სახლის პატრონი ერთ აბრეშუმის ჟილეტიან კაცს ელაპარაკებოდა, სხვები ზოგი მათ ყურს უგდებდენ, ზოგი ერთი მეორეს ესაუბრებოდენ, როცა კარი ხმაურობით გაიღო და ოთახში შემოვიდა მორთული და გამოკოხტავებული ჯორჯი შავი ხავერდის ტანსაცმელში, თეთრ ჟილეტში და ლამაზ ცისფერ ყელსახვევით კისერზე. შავი ხუჭუჭი თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი და მშვენიერათ ეხვეოდა თეთრ შუბლზე, დიდი შავი თვალები მხიარულათ და ცნობის-მოყვარეობით უბრიალებდენ...

სტუმრები მობრუნდენ და აღტაცებით დაუწყეს ყურება ლამაზ ბავშს, ზოგმა ხელიც გაუშვირა ჩამოსართმევათ.

ყოველთვის ზრდილობიანი ჯორჯი მის მაგიერათ, რომ ყველას მხიარულათ მისალმებოდა, კარებში შეჩერდა და ოთახი გაკვირვებით და წყენით მიათვალიერ-მოათვალიერა.

— ჯორჯ, თავის დაკვრა აღარ იცი?—სასტიკათ შეეკითხა სერ ევერარდი.

— მამა!—წამოიძახა ბავშმა წკრიალა ხმით, რომელიც აშკარათ გაისმა დიდი ოთახის ყოველ კუთხეში.—ველურები სად არიან?

სერ ევერარდს ელდა ეცა. მხოლოთ ახლა გაახსენდა ამას

ში ოთახიდან წავიდოდა, მაგრამ ბავშს, როგორც ეტყობოდა, უნდოდა გამოესწორებინა თავისი წელანდელი უზრდელობა, და გადაეწყვიტა ოთახიდან ისე არ გასულიყო, სანამ ზრდილობიანობის ყოველ მოთხოვნილებას არ შეასრულებდა. ის მიუახლოვდა მსხვილ სტუმარს, რომელსაც მამა მისი ელაპარაკებოდა, ხელი ჩამოართვა და პატივისცემით „ძილი ნებისა“ უსურვა, თუმცა სტუმარი სრულებითაც არ აპირებდა ჯერ-ჯერობით დაძინებას. მერე მეორეს მიუახლოვდა და იმასაც იგივე უსურვა.

— ვაი თუ ყველას ჩამოვლას აპირებს!—სასოწარკვეთილებით გადაავლო სერ ევერარდმა თავის სტუმრებს თვალი. სტუმრები ოცზე მეტი იყო.

ჯორჯს მართლაც ყველას ჩამოვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, და კიდეც მოიყვანა სისრულეში თავისი გადაწყვეტილება. ყველას ჩამოუარა. გაზეთს ჰკითხულობდა რომელიმე სტუმარი, თუ საინტერესო დავაში იყო გართული, თუ ოთახის სულ მოშორებულ კუთხეში იდგა—სულ ერთი იყო; ჯორჯი ოთახის მოშორებულ კუთხეში მიიმართებოდა, ერთს გაზეთისთვის თავს ანებებინებდა, მეორეს დავას აწყვეტინებდა... აუცილებელი „ძილი ნებისა“ არავის არ დაჰკლებია, და ყველასკენ სათითაოთ ჯორჯი თავის პატარა ხელს ჩამოსართმევათ აწვდიდა.

დიდხანს არ დავიწყებია სერ ევერარდს ეს ტანჯვის წუთები, როცა ის გულის კანკალით ადევნებდა თვალს ჯორჯის ყოველ ნაბიჯს და სიმწრის ოფლში იწურებოდა ყოველ სიტყვაზე, რომელსაც მას ეუბნებოდენ, ყოველ პასუხზე, რომელსაც იგი იძლეოდა. რა გრძელი იყო მერე ეს წუთები! თითქო დრო გაჩერდა და წინ აღარ მიდისო, თითქო სადილის ზარი სულ აღარ აპირებდა დარაწკუნებას!

სერ ევერარდი სასოწარკვეთილებით მისჩერებოდა პატარა არსებას, რომელიც დინჯათ გადადიოდა დიდი ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში და ყოველ მის პირის გაღებაზე გული უსკდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, გეგონათ, ველურებს ნახავდით?—ჰკითხა ჯორჯს ერთმა სტუმარმა.

— ბიძია ჩარლსმა ასე მითხრა.—მიუგო ბავშმა.

— კიდევ ცამეტი დარჩა!—შეუმჩნევლათ ამოიოხრა სერ ევერარდმა.

— ძალიან გეწყინათ რომ იმედები არ გაგიმართლდათ? ეხუმრა მეორე.

— რასაკვირველია!—გულუბრყვილოთ მიუგო ჯორჯმა. —რა სასიამოვნოა აბა შავ ტანისამოსში გამოწყობილი სტუმრების ნახვა!

— თორმეტი დარჩა!—გამოითვალა სერ ევერარდმა.

— ბიძა ალბათ გეხუმრათ!—შენიშნა მესამემ.

სერ ევერარდმა აღელვებით იატაკზე ფეხი დააბაკუნა.

— ძალიან სულელური ხუმრობაა!—გამოაცხადა ბავშმა. და მამაც სრულიად დაეთანხმა ამაზე ვულში.

ბოლოს სერ ევერარდის ტანჯვა გათავდა როგორც იქნა. სასადილო ოთახიდან ზარის რაწკუნი მოისმა და მამამ თავისუფლათ ამოისუნთქა, შვილი რომ კარებში გასული დაინახა.

მიგრამ მაინც მთელი საღამო ველარ მოისვენა სერ ევერარდმა და კარგ გუნებაზე ველარაფრით ველარ დადგა.—ჯერ კიდევ ძალიან წუხს ცოლის სიკვდილს!—ერთი მეორეს ჩუმათ ეუბნებოდენ სტუმრები.

ელ. წერეთელი.

(გაგრძელება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღარიბების მეგობრები.

I.

ას აქეთ, რაც ადამიანთა საზოგადოება დაარსდა, სხვა და სხვა ხალხი და სახელმწიფოები აღორძინდენ, მათში თანდათან განვითარდა ერთის მხრით სიმდიდრე, მეორეს მხრით სიღარიბე. ღარიბები შრომობენ, ოფლსა ღვრიან, მაგრამ ხშირათ დღიურ ლუკმასაც კი მოკლებული არიან; ამავე დროს მათის შრომის წყალობით მდიდრები ფუფუნებაში ცხოვრობენ, რა გინდა, სულო და გულო, რომ მათ არა ჰქონდეს! ასე იყო უძველეს დროს ქრისტეს წინეთ, ასე იყო ქრისტეს დროს, ასე იყო საშუალო საუკუნოებში და იმავე სურათს ვხედავთ დღეს.

ყოფილა უძველეს დროს ისეთი ხანა კაცობრიობის ცხოვრებაში, როდესაც ამგვარი უთანასწორობა და უსამართლობა, სიმდიდრე და სიღარიბე არ არსებობდა. მაშინ ყველა შრომობდა, ნაშრომს ყველა ერთმანერთში ინაწილებდა და ყველა კმაყოფილი იყო; ერთი ადამიანი მეორეს ეხმარებოდა და ყველა რიგიანათ ცხოვრობდა; მაშინ მდიდარი არავინ იყო, მაგრამ სამაგიეროთ შიმშილითაც არავინ კვდებოდა. ამგვარი მდგომარეობა თანდათან მოისპო, ადამიანმა ადამიანი დაჩაგრა, დაიბრიყვა, დაიმონავა; გაჩნდენ ბატონები, მონები, ყმები, თავადები, გლეხები და სხვ. ბატონებმა თავის სასარგებლოთ მოაწყვეს ცხოვრება, სახელმწიფოს წყობილება, კანონები,—ყოველივე ამას ის მოჰყვა შედეგათ, რომ ბევრი მთელი თავისი სიცოცხლე შრომის უღელს ეწევა და მაინც მოკლებულია ადამიანურ ყოფა-ცხოვრებას, ბევრი კი უშრომელათ ატარებს თავის დღეებს ქეიფში, ფუფუნებაში და მდიდრულ ცხოვრებაში. ამგვარ საზოგადო უსამართლობას უძველეს დროიდანვე აქცევდენ ყურადღებას გულითა და გონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით სპეტაკი პირნი, კაცობრიობის გულშემატკივარნი, და ცდილობდენ ისე მოეწყოთ ცხოვრება, რომ ქონებით და უფლებით ყველა თანასწორი ყოფილიყო. როგორ და რა გზით შეიძლება ქონების გათანასწორება? ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე მთავრობამ რომ მოიხმოს ყველა თვისი ქვეშევრდომნი და თანასწორათ, უმეტნაკლებოთ გაუყოს ყველას მთელი სახელმწიფოს მიწა, ფული, სხვა და სხვა საქონელი,—ერთის სიტყვით ყოველგვარი ქონება და თავთავისი წილი ყველას საკუთრებათ მისცეს, გაივლის დრო და ერთი ოჯახი ძალიან გამრავლდება; როცა მისი წევრები ქონებას გაინაწილებენ, ყველას დააკლდება; მეორე ოჯახი უფრო ნაკლებათ გამრავლდება და ამიტომ იმის წევრებს მეტი ქონება შერჩება; ზოგიერთი თავისი ბედოვლათობით სულ დაჰკარგავს, ზოგი ჭკუით, თუ ეშმაკობითა და მოხერხებით სხვისასაც შეიძენს, ზოგს ანდერძით დარჩება რამე და ამ გვარათ ისევ უთანასწორობა დამყარდება, ისევ წამოჰყოფს თავს სიმდიდრე და სიღარიბე. მაშასადამე შეუძლებელი ყოფილა სიღარიბის მოსპობა! არა—ამბობდენ და ამბობენ ბევრი მეცნიერი და მოღვაწეები: კერძო საკუთრება თუ არავის არ ექნება, თუ მთელი ქონება საერთო გახდება და შრომა ყველასათვის სავალდებულო იქნება, მაშინ სიღარიბეც მოისპობა და ქვეყანაზე სამართლიანი თანასწორობა დამყარდებაო. ამგვარ პირებს, რომლებიც კერძო საკუთრებას უარჰყოფენ და საერთო საზოგადო საკუთრების განხორციელებას ჰქადაგობენ, ეწოდებათ კომმუნისტები, ან სოციალისტები.

ძველი აღთქმა ამტკიცებს, რომ ერთი უდიდესი კომმუნისტი მოსე წინასწარმეტყველი იყო. როცა მან ებრაელები ეგვიპტიდან გამოიყვანა და ქანაანის ქვეყანაში გაემართა, უდაბნოში ყოფნის დროს დასწერა ებრაელებისათვის კანონები, რომლებმაც ჩვენს დრომდე მოაწიეს. მოსეს კანონით მიწა თანასწორათ იყო დაყოფილი ებრაელებს შორის; სხვადასხვა მიზეზებისა გამო ამ გვარი თანასწორობა რომ არ დარღვეულიყო, დრო და დრო მცხოვრებლები ხელახლა ინაწილებდენ მიწას ერთმანერთში. ამ დროს ებრაელებში სრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანასწორობა და ძმობა სუფევდა, მაგრამ შემდეგ მოხდა ეს, რომ დაკანონებული წესი დაირღვა, შეიქმნა ერთისაგან მეორის შევიწროება და დაჩაგვრა, გაჩნდენ მდიდრები და ღარიბები; ურიების მეფეები მდიდრებს მიემხრენ და მათთან ერთათ ღარიბ ხალხს ავიწროებდენ და გადასახადებით ტყავს აძრობდენ. მაშინ უთანასწორობისა და უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრდენ წინასწარმეტყველები. ისაიამ დაუწყო კიცხვა მდიდრებს, რომლებიც მისი სიტყვით ღარიბებს ავიწროებდენ, სახლს უმატებდენ სახლს, ყანას უმატებდენ ყანას, ადგენდენ უსამართლო კანონებს ღარიბი ხალხის შესავიწროვებლათ და სხვ. ამ გვარათვე სდევნიდენ მდიდრებს იერემია და ეზეკიილი და ღარიბებს ესარჩლებოდენ. ამ გვარმა გამოსარჩლებამ ღარიბებს არაფერი შემატა; მდიდრები არხეინათ განაგრძობდენ მათის შრომით ცხოვრებას, უსამართლობის მოსასპობლათ საჭირო იყო ცხოვრების ძირიანათ გარდაქმნა. სახელმწიფო ცხოვრების ძირიანათ შეცვლა და ახალს სოციალისტურს ნიადაგზე იკისრა მოწყობა საბერძნეთის უდიდესმა ფილოსოფოსმა პლატონმა, რომელსაც მისი თანამედროვენი ღვთის შვილს უწოდებდენ.

პლატონი დაიბადა 429 წელს ქრისტეს წინეთ. ჩავარდა თუარა გონებაში, მას შეუყვარდა მეცნიერება, აღეძრა ძლიერი წყურვილი სწავლისა და მაშინდელ განათლებას ხარბათ დაეწაფა. შემდეგ პლატონი მიებარა გამოჩენილ სოკრატს, რომლის ხელმძღვანელობის ქვეშაც მან შეისწავლა ზედმიწევნით თანამედროვე მეცნიერება და ფილოსოფია. როდესაც მთავრობამ სოკრატი სამართალში მისცა მისი სწავლა-მოძღვრებისათვის, სასამართლომ მას ბრალი დასდო: არსებული წყობილების დამხობას ცდილობო და სიკვდილი მიუსაჯა. ამ გარემოებამ პლატონის მოსიყვარულე გულზე ძალიან იმოქმედა, ის ველარ გაჩერდა საბერძნეთში და მოგზაურობა დაიწყო სხვა და სხვა ქვეყნებში; ის იყო იტალიაში, კირენაში, ეგვიპტეში, სიცილიაში; შემდეგ ის ისევ ათინაში დაბრუნდა და დაიწყო საკუთარი ფილოსოფიის სწავლა. მის გარშემო მალე მოიყარა თავი მოსწავლე ახალგაზრდობამ; პლატონის სახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან გაიზარდა და გაითქვა. პლატონმა დასწერა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ მრავალი საუკუნოების განმავლობაში მთელს ევროპაში და გარდაიცვალა 76 წლისა ათინაში. პლატონის დროს საბერძნეთის სამეფოების ბედ ილბალი უკან და უკან მიდიოდა; მთავრობა არაფრათ არ ვარგოდა, ყველგან უსამართლობა ჰსუფევდა; უზნეო და გარყვნილ პირებს ჩაეგდოთ ყოველისფერი ხელში და საუკეთესო პირებს კი სდევნიდენ; საბერძნეთის დიდება და სიამაყე—სოკრატი სიკვდილით დასაჯეს. პლატონის დროს ათინაში ითვლებოდა 300,000 მცხოვრები, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე ჩვენს თფილისში და ამათგან მოქალაქის უფლება ჰქონდა მხოლოთ 14,000-ს, ე. ი. მთელი მცხოვრებლების მეოცდაორე ნაწილს; ესენი განაგებდენ სახელმწიფოს ყოველგვარ საქმეს და მცხოვრებლების უმეტესობას კი არაფერი არ ეკითხებოდა, არავითარი ხმა არა ჰქონდა. უფლებებით აღჭურვილს მცირე ნაწილს თავის მხარეზე გადიყვანდა ხოლმე რომელიმე მდიდარი და უფლების მოყვარული პირი, მოიმადლიერებდა მახსპინძლობით, მოიქრთამებდა ფულით და სხვა და სხვა დაპირებით და, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა ქვეყნის საქმეს. პლატონისათვის ცხადი იყო, რომ ამ გვარი სახელმწიფოებრივი წყობილება ხალხისათვის დამღუპველი იყო, მან განიზრახა ცხოვრების გარდაქმნა და ამიტომ დასწერა თავისი შესანიშნავი თხზულება „სახელმწიფო“. რა აიძულებს ადამიანებს, რომ სახელმწიფო შეადგინონ, ეკითხება პლატონი ამ წიგნში თავის თავს და ამასთანავე უპასუხებს: როდესაც ადამიანი რწმუნდება, რომ მას არ შეუძლია თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს მარტო თავისი ძალღონით სხვის დაუხმარებლათ, მაშინ ყველა ერთი-მეორეს უამხანაგდება და ამ გვარათ აარსებენ სახელმწიფოსო. ყოველი ადამიანის უპირველეს მოთხოვნილებას პლატონის აზრით შეადგენს საზრდო, სადგომი და ტანისამოსი; აქედან ცხადია, რომ სახელმწიფოს საზრუნავს შეადგენს მეურნეობა, სახლების შენების საქმე და სხვა და სხვა მატერიების, ტყავისა და საზოგადოთ შესამოსი მასალის დამზადება.

ყველა ეს სხვა და სხვა საქმე ყოველმა ადამიანმა უნდა აკეთოს, თუ საჭიროა შრომის განაწილება ისე, რომ ერთი ერთ საქმეს ასრულებდეს, მეორე მეორეს და სხვა?

პლატონი ამტკიცებს, რომ საზოგადოებაში შრომის განაწილებას გაცილებით მეტი ნაყოფი მოაქვს. რადგანაც დროთა განმავლობაში ხალხი გამრავლდება და საჭირო შეიქნება ახალი ადგილების მოპოება, ამიტომ საჭიროა ჯარიც, რადგანაც ახალ ადგილებს თავისი პატრონი ეყოლება და ის უჩხუბრათ თავისას არავის დაუთმობს; ესეც რომ არ იყოს, შესაძლებელია, მტერი დაეცეს თავს სახელმწიფოს და თავის დასაცავათ, მტრის მოსაგერებლათ საჭიროა ჯარი. ჯარის მოვალეობაა მხოლოთ მცხოვრებლების დაცვა გარეშე მტრისაგან, ან ახალ ადგილების მოპოება ძალზე გამრავლებული მცხოვრებლებისათვის; შიგ სახელმწიფოში კი ჯარსა და მცხოვრებლებს შუა სრული მეგობრობა და თანხმობა უნდა არსებობდეს. მშვიდობიანობის დროს ჯარის კაცები უნდა სწავლობდენ მეცნიერებას და ვარჯიშობდენ გიმნასტიკაში. პლატონის აზრით სამხედრო პირები სახელმწიფოში ყველაზე უფრო უნდა იყონ განათლებული. საქმე იმაშია, ვინ უნდა იყოს ჯარის კაცი, ვინ მიწის მუშა, ვინ სახლების ოსტატი, ტყავის მკეთებელი, მრეწველი და სხვა? ამ ძნელ საკითხს პლატონი სწყვეტს აღზრდის შემწეობით. იმის სახელმწიფოში დაიბადებიან თუ არა ბავშები, მაშინათვე აშორებს მათ მთავრობა დედ-მამას; მთავრობა თვითონ სინჯავს ახალ დაბადებულ ბავშებს; რომლებიც საღი აღმოჩნდება, იმათ ზრდიან, რომლებიც სნეული და სუსტი, იმათ ცალკე სახლში ტოვებენ და შიმშილით ხოცავენ. როცა ბავშები წამოიზრდებიან, ბიჭებსა და გოგოებს აცალკევებენ და ცალ-ცალკე ზრდიან; ისინი სწავლობენ მეცნიერებას, ხელოვნებას, ფილოსოფიას, ლიტერატურას, ისტორიას და სხვ. და ვარჯიშობენ გიმნასტიკაში; ამ გვარათ ვაჟებიც და ქალებიც ერთნაირ განათლებას ღებულობენ. როდესაც სწავლის დროს ყოველ ბავშს შეეტყობა მისი ნიჭი და მიდრეკილება, მაშინ მთავრობა ანაწილებს მათ ცალკე ჯგუფებათ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ჯგუფი ემზადება სამხედრო წოდებისათვის, მეორე შეურნეობისათვის, მესამე მრეწველობისათვის და სხვ. სამხედრო ჯგუფში ვინც ყველაზე ნიჭიერი აღმოჩნდება, ისინი ცალკე განაგრძობენ კიდევ სწავლა-განათლებას და შემდეგში ამგვარი პირებიდან ხალხი ირჩევს მთავრობას. აქედან ცხადია, რომ პლატონის სახელმწიფოში მთავრობა შესდგება ყველაზე უფრო განათლებულ და განვითარებულ პირთაგან.

პლატონის სახელმწიფოში სამხედრო წოდებას არავითარი კერძო საკუთრება არა აქვს, არც მიწა, არც სახლი, არც ფული. მაშ ვინ აძლევს მათ საზრდოს, ბინას, ტანისამოსს? ყოველივე ამას აძლევენ მას დანარჩენი მცხოვრებლები, რომელთა დარაჯსაც წარმოადგენს სამხედრო წოდება. მთავრობა ცდილობს, რომ სამხედრო წოდებას არავითარი არ დააკლდეს, ხოლო ამავე დროს სასტიკათ სდევნის ჯარში ფუფუნებას. თავისი ნიჭის კვალობაზე ქალებსაც ისე ანაწილებს მთავრობა სხვა და სხვა საქმისა და მოვალეობისათვის, როგორც კაცებს, —პლატონის სახელმწიფოში სრული თანასწორობა არსებობს ქალებსა და მამაკაცებს შორის. პლატონის სახელმწიფოში ქალები თხოვდებიან ოცი წლიდან, მამაკაცები ცოლს ირთავენ ოცდაათი წლიდან, მაგრამ მათი ცოლქმრობა მათი ნება კი არ არის, არამედ მთავრობის; მთავრობა თვითონ ანაწილებს, ვინ ვის უნდა გაჰყვეს ცოლათ და ვინ რომელი ქალი უნდა შეირთოს. პლატონი დარწმუნებულია, რომ ამგვარი მთავრობა მცხოვრებლებს არ შეავიწროებს, ბატონათ არ გაუხდება ყველას, რადგანაც მთავრობას ირჩევს ხალხი იმგვარი პირებისაგან, რომელთა პატიოსნება, გულკეთილობა, მოუსყიდავი ხასიათი, სამართლიანობა და ღრმა სიყვარული სამშობლოსადმი ყოველგვარ ეჭვს გარეშეა; გარდა ყველა ამ ღირსებისა მთავრობაში ასარჩევათ საუკეთესო განათლების მიღებაა საჭირო. პლატონის მიზანია, რომ ქვეყნის საქმეებს ფილოსოფოსები განაგებდენ. ამ გვარი მთავრობა არასოდეს არ უღალატებს ქვეყნის საქმეს, თავის ჯიბისკენ არ დაიწყებს ყურებას და ყოველთვის თავისი მოქმედების დროს მხოლოთ ის ექნება მიზნათ, რომ სამშობლოს სარგებლობა მოუტანოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონის აზრით ბავშს აღმზრდელებმა პატარაობიდანვე უნდა ჩაუნერგონ ის აზრი, რომ ის თავის საკუთარ თავს კი არ ეკუთვნის, არამედ სამშობლოს და ამიტომ მან უნდა იცხოვროს და იმოქმედოს მხოლოთ სამშობლოს სასარგებლოთა და საკეთილდღეოთ. სამხედრო წოდების გარდა დანარჩენი მოქალაქენი ყველა ერთნაირათ სარგებლობენ მიწით; მზითევში გატანება მიწისა ან ანდერძით დატოვება კანონით აკრძალულია; მცხოვრებლებს შეუძლიათ კერძო საკუთრება იქონიონ, მაგრამ მდიდრები რომ არ გაჩნდენ, ამის გულისათვის პლატონის სახელმწიფოში აკრძალულია ანდერძით ქონების გადაცემა, მემკვიდრეობა, მზითევი, შეძლებული შეძლებულის ქალს ვერ შეირთავს და სხვ. პლატონი დარწმუნებული იყო, რომ ამ გვარათ მოწყობილ სახელმწიფოში ყველა კმაყოფილი და ბედნიერი იქნებოდა.

ი. გომართელი.

(გაგრძელება შემდეგ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ისტორია

ერნესტ ლავისისა

წიგნი III

ახალი დროება.

—

თავი II

გამოცოცხლება.

106. წიგნის ბეჭდვა.—1. უწინ ხელნაწერის გარდა სხვა წიგნი არ იყო. 2. კაცი მდიდარი უნდა ყოფილიყო რომ წიგნი შეეძინა.

3. მე-XV საუკუნის ნახევარში ერთმა გერმანელმა, გუტენბერგმა, გამოიგონა წიგნის ბეჭდვა. 4. ამას იქით ერთი წიგნიდან შეიძლებოდა მიღიონი ეგზემპლარის გადმობეჭდვა, მაშასადამე წიგნები გამრავლდებოდა და უფრო იაფად გაიყიდებოდა.

107. მწიგნობრობის გამოცოცხლება.—5. ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების თხზულება ძალიან ძნელი საშოვნელი გახდა. ზოგი ხელნაწერი ერთი ცალიდა დარჩენილიყო რომელისამე მონასტრის წიგნთსაცავში მივიწყებული. 6. რაკი წიგნის ბეჭდვა იცნეს, მიჰყვეს ხელი ყველა ამ წიგნების გამოცემას და ვინც ღარიბნი იყვნენ იმათაც შესძლეს მათი წაკითხვა. 7. ამიტომ ამბობდნენ სიძველე გამოცოცხლდაო და დაარქვეს იმ ხანას მწიგნობრობის გამოცოცხლება.

108. ხელოვნების გამოცოცხლება.—8. მე-XV საუკუნის ნახევარში ერთმა ფლამანელმა მხატვარმა, ვან-ეიკმა, გამოიგონა ზეთის ფერადები. იტალიელებმა დაიწყეს მიბაძვა ძველი საბერძნეთის და რომის ძეგლებისა და ქანდაკებისა.

9. მე-XV საუკუნეს იტალიაში ბევრი მხატვარი, მქანდაკებელი და ხუროთ-მოძღვარი იყო. ყველაზედ წარჩინებულნი იყვნენ მიქელ-ანჯელო, მქანდაკებელი, და ლეონარდო და-ვინჩი, რაფაელ და ტიციანო, მხატვრები.

10. ბევრს მაშინდელს ხელმწიფეს უყვარდა პოეზია, შვენიერი ქანდაკები და სურათები. ესენი იწვევდნენ თავიანთ კარზედ მხატვრებსა და პოეტებს და მდიდრულად ინახავდნენ. 11. ამ ხელმწიფეებში ყველაზედ განთქმულნი იყვნენ: პაპი ლეო X რომსა და კოზიმი მედიჩი ფლორენციაში. 12. ამ ხანას დაერქვა ხელოვნობის გამოცოცხლება.

109. გამოცოცხლება ევროპაში.—13. გამოცოცხლება იტალიაში დაიწყო და უდიდესნი ხელოვანნი იტალელები იყვნენ. 14. შემდეგ სხვა ქვეყნებშიაც გამოჩნდნენ დიდი ხელოვანები, რომელნიც განვითარდნენ იტალელების მიბაძვით.

15. საფრანგეთის გამოცოცხლების სახელოვანი მწერლები არიან რონსარ და რაბლე და მქანდაკებელნი—ჟან გუჟონ და პილონ. 16. გერმანიაშიაც იყო გამოცოცხლება და იმ დროის საუკეთესო მხატვრებად ითვლებიან დიურერ და ჰოლბეინ. 17. ესპანიას, ინგლისსა და ჰოლანდიასაც დაუდგათ თავიანთი ხანა გამოცოცხლებისა, მხოლოდ მე-XVII საუკუნის დასაწყისში.

110. მეცნიერებანი.—18. მე-XVI საუკუნე იყო მეცნიერების გამოცოცხლების ხანა. 19. ბელგიელმა ვეზალიუსმა შექმნა ანატომია, ესე იგი ცნობა ადამიანის სხეულისა. 20. პოლონელმა კოპერნიკმა აღმოაჩინა, რომ მიწა იქცევა მზის გარშემო.

1. როგორი წიგნები იყო უწინ?—2 ადვილი იყო წიგნის შეძენა? —3. ვინა და როდის გამოიგონა წიგნის ბეჭდვა?—4. რა იყო წიგნის ბეჭდვის შედეგი?—5. რა მოუვიდათ ძველი მწერლების წიგნებს?—6. რა უყვეს ამ წიგნებს, როცა წიგნის ბეჭდვა იცნეს?—7. რა ჰქვიან იმ ხანას?—8. ვინა და როდის გამოიგონა ზეთის ფერადები?—9. ვინ იყვნენ მე-XV საუკუნეში უწარჩინებულესი იტალელი მხატვრები?—10. რას შვრებოდნენ მაშინდელი ხელმწიფეები?—11. ვინ იყვნენ იმათ შორის უწარჩინებულესნი?—12. რა ჰქვიან იმ ხანას?—13. სად დაიწყო გამოცოცხლება?—14. იყვნენ თუ არა დიდი ხელოვანები იტალიის გარეთ?—15. ვინ იყვნენ საფრანგეთის გამოცოცხლების სახელოვანნი მწერალნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მქანდაკებელნი?—16. ჩამოთვალეთ იმ დროის საუკეთესო მხატვრები გერმანიაში?—17. სხვა ქვეყნებს ჰქონდათ თავიანთი გამოცოცხლება და როდის?—18. რა იყო კიდეე მე-XVI საუკუნეში?—19. რა შექმნა ვეზალიუსმა?—20. რა აღმოაჩინა კოპერნიკმა?

—

შინაარსი (ზეპირად სათქმელი)

I. მე-XV საუკუნის ნახევარში გუტენბერგის გამოგონილმა წიგნის ბეჭდვამ გაამრავლა და გავრცელა წიგნები.

II. დაიწყეს გამოცემა ძველი მწერლები ს. ეს იყო მწიგნობრობის გამოცოცხლება.

III. იტალიაში გაჩნდნენ დიდი მხატვრები და მქანდაკებლები: ხელმწიფეები მათ მფარველობას უწევდნენ. ეს იყო გამოცოცხლება ხელოვნებისა.

IV. გამოცოცხლება დაიწყო იტალიაში და იქიდან გავრცელდა საფრანგეთსა და გერმანიაში.

V. გამოჩნდნენ აგრეთვე მეცნიერნი; ამათ შორის წარჩინებულნი არიან ვეზალიუს და კოპერნიკ.

თ ა ვ ი III.

რეფორმაცია და სარწმუნოებრივი ომები.

111. კათოლიკე ეკლესია.—1. შუა საუკუნეებში ევროპის ყველა ქრისტეანები იყვნენ კათოლიკენი *), ესე იგი ყველანი ერთს სარწმუნოებას აღიარებდნენ და ყველანი ეპისკოპოსებსა და პაპს ემორჩილებოდნენ. 2. როცა ვინმე ქრისტეანე ისეთს აზრს გამოსთქვამდა, რომელსაც პაპი და ეპისკოპოსნი არ მოიწონებდნენ, იმ კაცს მისს ნათქვამს გადაათქმევინებდნენ; და თუ არ დაიშლიდა, ერეტიკოსად (მწვალებლად) გამოაცხადებდნენ. 3. შეიპყრობდნენ, გაასამართლებდნენ და დასწვავდნენ

*) კათოლიკე ნიშნავს მსოფლიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტონზე, ან ჩააგდებდნენ სამუდამოდ საპყრობილეში. 4. იმიტომ, რომ მაშინდელი ხალხი არ ითნევდა რწმენის თავისუფლებას.

5. როცა რომელსამე მხარეს ერეტიკოსები გამრავლდებოდნენ, მაშინ იმ მხარეს ჯვაროსნობას *) აუტეხდნენ. 6. მე-XIII საუკუნეს, დიდი ალბიგოის ჯვაროსნობის შემდეგ, დააწესეს საგანგებო სასამართლოები ერეტიკოსების საძებრად და დასასჯელად. ამ სასამართლოს ერქვა ინკვიზიცია. 7. ინკვიზიცია იყო საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას და გერმანიაში. 8. მაგრამ ყველაზედ საშინელი ესპანიის ინკვიზიცია იყო, მე-XV საუკუნეში, რომელმაც 18 წლის განმავლობაში 10,000 სული დასწვა.

112. რეფორმაცია გერმანიაში.—9. მე-XVI საუკუნის დასაწყისში სამღვდელოებას ბევრი მომდურავი ჰყვანდა. 10. ამბობდნენ, რომ მღვდლები და ბერები მეტად გამდიდრდნენო, პაპი დიდ ფულსა ხარჯავს და კარდინალები ცუდად იქცევიანო. 11. თვით ეპისკოპოზნი იმ აზრისა იყვნენ, რომ ეკლესიას რეფორმა სჭირია, ესე იგი წესი და რიგი უნდა შეეცვალოსო.

12. ერთი გერმანელი ბერი, ლუტერი, სწერდა და ქადაგებდა პაპის წინააღმდეგ. პაპმა დაჰგმო ლუტერის წიგნი ბულლიდ **).

13. ლუტერმა დასწვა პაპის ბულლა საჯაროდ 1520 წ. და გამოაცხადა, რომ ქრისტეანები პაპს კი არ უნდა უჯერებდნენ, არამედ მხოლოდ სამდვთო წერილს. 14. რამდენმამე გერმანელმა მთავარმა მხარი მისცა ლუტერს და დასაწვავად არ გასცა. 15. ლუტერმა სთარგმნა გერმანულად ბიბლია და გერმანელების უმოავლესობამ მიიღო მისი რეფორმა. 16. მთავრებისათვის ეს ხელსაყრელი იყო, იმიტომ რომ საეპისკოპოზოებსა და მონასტრებს აუქმებდნენ და იმათს მიწებს იჩე-

*) კათოლიკების ომი ურჯულოებსა და ერეტიკოსებთან.

**) ბულლა—პაპის ბრძანება, ლითონის ბეჭდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებლნენ. 17. ლუტერის მიმდევრებს დაარქვეს რეფორმატორები ან პროტესტანტები *).

18. შვეციის მეფემ თავის ხალხით მიიღო პროტესტანტობა 1529 წ.

1. ვინ იყვნენ ქრისტეანები შუა საუკუნოებში?—2. ვინ იყო ერეტიკოსი?—3. რას უშვრებოდნენ ერეტიკოსს?—4. რადა?—5. რა მოხდებოდა, როცა რომელსამე მხარეს ერეტიკოსები გამრავლდებოდნენ?—6. რა იყო ინკვიზიცია?—7. სად იყო დაწესებული?—8. რომელი ინკვიზიცია იყო ყველაზე საშინელი?—9. როგორ ეპყრობოდა ხალხი სამღვდელოებას მე-XVI საუკუნეში?—10. რა იყო მიზეზი საერთო უკმაყოფილებისა?—11. რა უნდოდათ ეპისკოპოზებს?—12. ვინ იყო ლუტერი?—13. რა უჰქნა ლუტერმა?—14. მხარი ვინ მისცა?—15. რა სთარგმნა ლუტერმა 16. რად მიიღეს მთავრებმა ლუტერის რეფორმა?—17. რა დაარქვეს ლტერის მიმდევრებს?—18. რა მოხდა შვეციაში?

113. **რეფორმაცია საფრანგეთში.**—1. საფრანგეთშიაც ბევრმა დაიწყო სამღვთო წერილის კითხვა და პაპის ურჩობა. 2. მაგრამ რადგან რეფორმატორები საკმაოდ მრავალნი არ იყვნენ, მთავრობა იპყრობდა მათ და სიკვდილით სჯიდა. 3. ერთმა ფრანგმა, კალვინმა, მაინც შემოიღო რეფორმა. კალვინი მოშორდა საფრანგეთს და წავიდა ჟენევას, 1541 წ.; ჟენეველებმა ჩააბარეს კალვინს თავიანთი ქალაქი სამართველოდ. 4. იმის მიმდევრებს დაარქვეს კალვინისტები.

5. კალვინისტები გამრავლდნენ საფრანგეთში, მეტადრე სამხრეთს ნაწილში. მთელმა შოტლანდიამა და ჰოლანდიამაც მიიღო კალვინიზმი.

114. **რეფორმაცია ინგლისში.**—6. ინგლისის მეფეს, ჰენრიკო VIII-ს, ჯერ არ უნდოდა პროტესტანტობის მიღება. 7. მაგრამ ერთხელ, პაპს რომ წაეჩხუბა, გამოაცხადა (1535 წ.): ინგლისის ეკლესია განკერძოებულს ეკლესიად დაწესდეს და პაპის მაგიერ მეფეს დაემორჩილოსო.—8. მერე მეფემ დაუწყო თავების ჭრა კათოლიკებს, რომელთაც უნდოდათ ისევ პაპის მორ-

*) პროტესტანტები, იმიტომ რომ პროტესტს აცხადებდნენ იმ დადგენილების წინააღმდეგ, რომელიც უკრძალავდა ყოველგვარს ცვლილებას ღვთის-მსახურებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩილება, და კოკონზე წვა პროტესტანტებს, რომელთაც ჯერ-
დოდათ სრული რეფორმა. 3. ასე დახოცა 70,000 სული,

10. მეფის ჰენრიკო VIII-ის სიკვდილის შემდეგ ინგლი-
სელებმა მიიღეს პროტესტანტობა, მხოლოთ დაიცვეს ძველი
წეს-წყობილება ეკლესიისა და შეირჩინეს თავიანთი ეპისკო-
პოზები. 11. ინგლისის პროტესტანტურს ეკლესიას დაერქვა
ანგლიკანი ეკლესია.

12. შოტლანდიის მეფე მარიამ სტუარტ, რომელიც კა-
თოლიკე იყო, მისმა ყმებმა განდევნეს. მარიამ სტუარტ გაიქ-
ცა ინგლისს, მაგრამ ელიზაბედ მეფემ შეიპყრა და თვრამეტი
წლის პატიმრობის შემდეგ თავი მოჰკვეთა (1587 წ.).

1. რა ხდებოდა საფრანგეთში?—2. რა მოსდიოდათ რეფორმატო-
რებს?—3. რა ჰქნა კალვინმა?—4. რა დაარქვეს იმის მიმდევრებს?—5.
სად იყვნენ კალვინისტები?—6. რას აპირებდა ინგლისის მეფე?—7. რა
გამოაცხადა?—8. ვისა და რისთვის ხოცავდა მეფე?—9. რამდენი სული
დახოცა?—10. რა ჰქნეს ინგლისელებმა მეფის ჰენრიკო VIII-ის სიკვდი-
ლის შემდეგ?—11. რა დაარქვეს ინკლისის ეკლესიას?—12. რა მოუვიდა
მარიამ სტუარტს?

115. სარწმუნოებრივი ომები.—1. მთელი ევროპის ქრის-
ტეანობა მაშინ ორს გადამტერებულ ბანაკად გაიყო. 2. სამხრე-
თის ქვეყნები,—ესპანია, პორტუგალია და იტალია,—სრულებით
კათოლიკენი დარჩნენ და სდევნიდნენ პროტესტანტებს. 3. ჩრდი-
ლოეთის ქვეყნები,—ინგლისი, შოტლანდია და შვეცია,—სრუ-
ლებით გაპროტესტანტდნენ და სდევნიდნენ კათოლიკეებს.

4. საფრანგეთსა და გერმანიაში ორივე მხარე იმდენად
ძლიერი იყო, რომ ვერცერთმა მეორეს ვერა სძლია და ამი-
ტომ აუტეხეს ერთმანერთს ომი. 5. სარწმუნოებრივი ომი საფ-
რანგეთში ორმოცს წელიწადს გაგრძელდა, სანამ მეფემ ჰენ-
რიკო IV-ემ ნანტის ედიქტით (ბძანებით) ნება არ დართო
პროტესტანტებს ეცხოვრათ თავიანთ სჯულზედ (1598 წ.).

6. გერმანიაში პროტესტანტი მთავრები ებრძოდნენ კეი-
სარს კარლო V-ეს, რომელიც კათოლიკე იყო. 7. საფ-
რანგეთის მეფენი, თუმცა თავიანთს სამეფოში პროტესტანტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდევნიდნენ, პოლიტიკის გულისათვის მხარს აძლევდნენ გერმანიის პროტესტანტებს.

116. ნიდერლანდიის აჯანყება.— 8. ბელგია და ჰოლანდია, რომელთაც ერთად ნიდერლანდიას ეძახდნენ, ესპანიას ეკუთვნოდა. 9. ჰოლანდელებმა პროტესტანტობა მიიღეს; მეფემ მოინდომა მათი ძალად გაკათოლიკება. 10. ჰოლანდელები აჯანყდნენ (1572 წ.), გააგდეს ესპანელების ჯარი და ძნელისა და ხანგძელის ომიანობის შემდეგ დაიარსეს პროტესტანტური რესპუბლიკა შეერთებულის პროვინციებისა (1581 წ.).

117. იეზუიტები.—11. ერთმა კათოლიკე ესპანელმა, ეგნატე ლოიოლამ, დააარსა იესოს საზოგადოება პროტესტანტებთან საბრძოლველად. 12. იეზუიტები იყვნენ მდედლები, რომელთაც ვალად ედვათ ექადაგნათ კათოლიკე სარწმუნოება კაცებისათვის და ესწავლათ ყმაწვილებისათვის. 13. იესოს საზოგადოება ჯარსავით არის დაწესებული; იმის მთავარს ეძახიან გენერალს, რომელსაც იეზუიტები სრულიად ემორჩილებიან; გენერალი ემორჩილება მხოლოდ პაპს.

14. იეზუიტები ძალიან მოამთმენნი და ძალიან ხერხიანნი იყვნენ და გამარჯვებისათვის არ ერიდებოდნენ არც ერთს ღონისძიებას, რაც უნდა ცუდი ყოფილიყო. 15. იმათის მეცადინეობით სამხრეთი გერმანია, ავსტრია და პოლონეთი ისევ კათოლიკობას დაუბრუნდა. 16. იმათვე გააქრისტეანეს სამხრეთი ამერიკის ნადირი ხალხები. 17. ამიტომაც იეზუიტები ძალიან გაძლიერდნენ.

118. რეფორმაციის შედეგი.—18. რეფორმაციამ ორად გაჰყო ევროპის ხალხნი, რომელნიც უწინ ერთს სარწმუნოებას აღიარებდნენ. 19. და ასტეხა მრავალი ომი სახელმწიფოებს შორის და მრავალი შინაბრძოლა თვით სახელმწიფოებში. 20. მაგრამ ბოლოს ხალხებმა შეიგნეს, რომ ჭკუა-მყოფელს კაცებს არა ჰმართებსთ ერთმანერთის ხოცვა და ყველას ნება აქვს აირჩიოს თავისთვის სარწმუნოება: ასე წარმოსდგა რწმეის თავისუფლება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

1. როგორ გაიყო ევროპის ქრისტეანობა?—2. რომელი ქვეყნები იყო კათოლიკე?—3 რომელი ქვეყნები იყო პროტესტანტი?—4. საფრანგეთსა და გერმანიაში როგორღა იყო?—5. რამდენ ხანს გაკრძელდა სარწმუნოებრივი ომი საფრანგეთში და რით გათავდა?—6. ვინ ებრძოდა პროტესტანტებს გერმანიაში?—7. ვინ აძლევდა მხარს?—8. ვის ეკუთვნოდა მაშინ ნიდერლანდია?—9. რა სარწმუნოებისა იყვნენ ჰოლანდელები?—10. რა ჰქნეს ჰოლანდელებმა?—11, რა ჰქნა ეგნატე ლოიოლამ?—12. ვინ იყვნენ იეზუიტები?—13. როგორ იყვნენ დაწესებულნი?—14. რას შვრებოდნენ გასამარჯვებლად?—15. რომელი ქვეყნები დაუბრუნეს კათოლიკობას?—16. რომელი ხალხები გააქრისტეანეს?—17. რა წარმოსდგა ამისაგან?—18. რა მოახდინა რეფორმაციამ ევროპაში?—19. რა ომები ასტეხა?—20. როგორ წარმოსდგა რეფორმაციისაგან რწმენის თავისუფლება?

—

შინაარსი (ზეპირად სათქმელი).

I. შუა საუკუნოებში ევროპის მთელი საქრისტეანო კათოლიკე იყო და ხალხს ემორჩილებოდა. **ერეტიკოსებს** სწვავდნენ ან საპყრობილეში ამწყვდევდნენ; მათის გასამართლებისათვის დაწესეს **ინკვიზიციის** სასამართლოები.

II. მე-XVI საუკუნეში კათოლიკე ეკლესიისათვის რეფორმა იყო საჭირო.

III. **გერმანელი ბერი, ლუტერი,** ქადაგებდა რეფორმას გერმანიაში (1520). მთავრებმა მხარი მისცეს. **გერმანელები** და შვედები **რეფორმატორებად** ან **პროტესტანტებად** მოექცნენ.

IV. **კალვინმა** შეასრულა რეფორმა **ჟენევაში** (1541). მისი რეფორმა მიიღეს შოტლანდელებმა, ჰოლანდელებმა და ბევრმა თრანგმა.

V. ინგლისში მეფე ჰენრიკო VIII გაეყარა ხალხს, მაგრამ სდევნიდა პროტესტანტებს. იმის სიკვდილის შემდეგ ინგლისელებმა მიიღეს **პროტესტანტობა** და დაიარსეს **ანგლიკანი ეკლესია.** შოტლანდიის მეფე მარიამ სტუარტ, კათოლიკე, სიკვდილით დასჯა (1587) ელისაბეთმა, ინგლისის მეფემ.

VI. ევროპის ექვსა ქვეყნები ძრწოდნენ ზოგი **სარწმუნოებრივის** დევნით, ზოგი **სარწმუნოებრივის ომებით.** ეს ომები საფრანგეთში დასრულდა ნანტის ედიქტით (1598).

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. პროტესტანტი ჰოლანდელები წინადადგენენ ესპანეთ. მეფეს და დაიარსეს შეერთებული პროვინციების რესპუბლიკა (1581).

VIII. ეგნატე ლოიოლამ დააწესა იესოს საზოგადოება, რომელმაც მოაქცია კათოლიკედ სამხრეთი გერმანია, ავსტრია და პოლონეთი და გააქრისტიანა სამხრეთი ამერიკის ნადირი ხალხი.

IX. რეფორმაციამ აშალა ევროპაში მრავალი შფოთი და ომი, მაგრამ ბოლოს წარმოშობა რწმენის თავისუფლება.

ალ. სარაჯიშვილი.



გამოცანა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან)

ძველი არის ჩემი გვარი
ადამ და ევას ხნისაო,
სიცივეში არ ვარგივარ
ვემორჩილები ძილსაო,
საჭმელათ მიყვარს ჩიტები,
არც ვერიდები ტკბილსაო,
მაგრამ შხამით-კი ავამსებ
ვისაც მოვკიდებ კბილსაო,
ან მაშინვე უნდა მოკვდეს,
ან მიეცემა ჭირსაო.

Продолжается подписка на 1907 г.

на ежемѣсячный иллюстрированный журналъ для семьи и школы

„ЮНАЯ РОССІЯ“

(„ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“)

Тридцать девятый годъ изданія.

Въ годъ 4 р. 50 к. безъ пересылки. 5 р. съ пересылкой.

Журналъ **„ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“** перемѣнилъ съ 1906 г. свое названіе и будетъ впредь издаваться подъ названіемъ—**ЮНАЯ РОССІЯ**. Все остальное въ журналѣ безъ всякой перемѣны —одно только названіе новое.

журналы **„ЮНАЯ РОССІЯ“** („Дѣтское Чтеніе“) и **„Педагогическій Листокъ“**, служа вѣковѣчнымъ задачамъ воспитанія и обученія, всегда откликались—въ мѣру возможности—и на текущія злобы дня и выдающіяся событія въ жизни русской и всемірной.

Въ настоящее же время **„ЮНАЯ РОССІЯ“** („Дѣтское Чтеніе“) и **„Педагогическій Листокъ“** съ особенною настойчивостью будутъ развивать въ своихъ читателяхъ тѣ разумныя и добрыя мысли и чувства, которыя наиболѣе способны воспитать въ человѣкѣ—свободнаго гражданина—дѣятеля на благо родной страны.

Въ 1907 г. журналъ „ЮНАЯ РОССІЯ“ („Дѣтское Чтеніе“) **дастъ всѣмъ подписчикамъ 12 КНИЖЕКЪ** журнала, въ составъ которыхъ входятъ: а) повѣсти, разсказы и сказки; б) стихотворенія в) историческіе очерки и біографіи; г) популярно-научныя статьи, д) снимки съ портретовъ замѣчательныхъ людей и съ картинъ и проч.

БЕЗПЛАТНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ: I. Народные поэты—Кольцовъ, Никитинъ и Шевченко. Сборникъ стихотвореній для семьи и школы.

II. Старшіе братья въ семьѣ народовъ. Очерки современной культуры передовыхъ странъ, Я. А. Берлина. 1. Городъ-великанъ и его чудеса. 2. Успѣхи знанія. 3. Царица міра—машина (промышленный строй). 4. Среди тружениковъ (соціальный вопросъ) 5. Государственная жизнь. 6. Чаянія лучшаго будущаго.

(Въ текстѣ журнала этимъ очеркамъ будутъ предпосланы двѣ статьи). **„Изъ общественнаго и государственнаго строя современныхъ передовыхъ странъ“**: 1. Исторія труда (въ связи съ исторіей собственности); 2. Исторія политической власти.

Ш. Серія разсказовъ Е. Н. Опочинина: 1. Праздничное богомолье воеводы (Рождественская легенда). 2. Бѣднячекъ. 3. Въ прощеные дни. 4. Непутевый.

Подписная цѣна на „Юная Росся“.	„Юная Россія“ съ „Педагогическимъ Листкомъ“ (8 кн.).
Безъ доставки, на год 4 р. 50 к.	Безъ доставки, на годъ . . . 5 р.
Съ доставк. и перес., на годъ 5 р.	Съ доставк. и перес., на годъ 6 р.

Допускается разсрочка

Подписка принимается въ редакціи Москва. Б. Молчановка, д. № 24. Д. И. Тихомирова, и у книгопродавцевъ. Книгопродавцамъ уступка 5%. Оставшіеся комплекты журнала „ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ за прежніе годы 1897—1904 г.г. по 4 р. безъпересылки

Издательница Е. Н. Тихомирова **Редакторъ Э. И. Тихомировъ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა